# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 16 სექტემბერი. 2017 წ. №189-190 (8326-8327), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## 56300 ბავშვი სკოლაში მივიდა!



საქართველოს სკოლებში გუშინ ახალი სასწავლო წელი დაიწყო. წელს საჯარო და კერძო სკოლებში 575 000 მოსწავლე მივიდა, აქედან პირველკლასელი 56 300-ია, მათგან 50 300 საჯარო სკოლებშია დარეგისტრირებული, 6 000 კი – კერძოში. 143-ე საჯარო სკოლაში გუშინ განათლების მინისტრი იმყოფებოდა. ახალი სასწავლო წლის დაწყება ალექსანდრე ჯეჯელავამ პირველკასელებს მიულოცა.

საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 13 მცირე კონტიგენტიანი საჯარო სკოლის მშენებლობა. აქედან, პირველ ეტაპზე, სასწავლო წლისთვის ერთი ახალი საჯარო სკოლის გახსნა იგეგმება. 2017 წლის ბოლომდე კი 5 სკოლის მშენებლობა დასრულდება. საქართველოში მდებარე 2085 საჯარო სკოლიდან დღეის მდგომარეობით, დასრულებულია 22 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოები 91 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს.

მიმდინარე წლის ბოლომდე ათასწლეულის ფონდის მიერ რეგიონებში 30 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია მოხერხდება. უწყების ინფორმაციით, წელსაც უფასო სახელმძღვანელოებს საჯარო სკოლის პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით ყველა მოსწავლე მიიღებს. ასევე, სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემათ კერძო სკოლის სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 70001-ზე ნაკლებია.



⑤

### გაბრიელა მისტრალი:

## უფალო, გევედრები, დიდი სიყვარულით შემაყვარე ჩემი სკოლა

## პროკურატურა „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ უტევს!

**საქართველოს პროკურატურის მიერ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებთან დაკავშირებით მხოლოდ 2017 წლის პირველ 6 თვეში გამოქვეყნებულია 161 განცხადება და ჩატარებულია 6 ბრიფინგი,** – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

**„რა თქმა უნდა, ყველა საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია ეხება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარე გამოძიებებს, რომლებზეც არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი. საზოგადოებას სისხლის სამართლის საქმეებზე მიეწოდება ის ინფორმაცია, რაც გამოძიების მოცემულ ეტაპზე შეიძლება იყოს გასაჯაროებული და არ დააზიანებს სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ინტერესს, ასევე მოქალაქეთა უფლებებს. საქართველოს მთავარი პროკურატურა სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ყველა საჯარო ინფორმაცია, რაც გამოთხოვილია არამხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების, არამედ ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ, კანონით დადგენილ ვადებში და ფარგლებში არის პასუხგაცემული.**

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს მათ კანონით აქვთ, უფლება ჰქონდეთ წვდომა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ინფორმაციაზე, არის შეგნებულად ან შეუგნებლად საქართველოს კანონმდებლობის არცოდნის გამოვლინება და შესაბამისად არ შეესაბამება სიმართლეს. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან.**

**კანონის თანახმად, „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ „არასამთავრობო ორგანიზაციის“ სტატუსი არ აძლევს უფლებას, გამოითხოვოს და მიიღოს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალები და საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია.**

**საჯარო და არასაჯარო ინფორმაციის სახეს მკაფიოდ განსაზღვრავს კანონი და საქართველოს მთავარი პროკურატურაც მოქმედებს კანონის შესაბამისად, განუხრელად იცავს კანონმდებლობას.**

**გარდა აღნიშნულისა, კანონი პროკურატურის შესახებ ერთმნიშვნელოვნად განმარტავს, რომ არავის აქვს უფლება, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობის პროცესში. ამავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მონაცემების გამჟღავნება დაუშვებელია. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურა გამოძიების ინტერესების, მხარეთა და პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების, სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით თავად განსაზღვრავს თუ რა დოზით და რა ფორმით მიაწვდის ინფორმაციას საზოგადოებას სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.**

* * *

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ გახმაურებული საქმეების გამოძიების მიმდინარეობაზე ინფორმაციის გასაჯაროება მოითხოვა, თუმცა საგამოძიებო უწყებისგან უარი მიიღო. იმ შემთხვევაში თუკი პროკურატურა გადაწყვეტილებას არ შეცვლის, ორგანიზაცია უწყების წინააღმდეგ სასამართლოში დავას გეგმავს.

### გიორგი კვირიკაშვილი:

## ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არიან ქართველები ერთგულნი თავიანთი რელიგიისა არის ის, რომ ღვინო ზიარების ძირითადი კომპონენტია

②

## მოწინეებით დალაგებული ჩუსტები თუ ხმლის მოლოდინი

④



როსტომ ჩხეიძე



⑥

## ვირტაჭი: ნეოლოგიზმი ეპოქის სახედ



# გიორგი კვირიკაშვილი: ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არიან ქართველები ერთგულნი თავიანთი რელიგიისა, არის ის, რომ ღვინო ზიარების ძირითადი კომპონენტია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საფრანგეთში, ბორდოში ქართული ღვინის გამოფენა უნიკალური შანსია, რათა საქართველომ მეღვინეობის 8 000-წლიანი ისტორია წარმოადგინოს.**

მისივე თქმით, ქვევრი, რომელიც ქართველებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, „იუნესკომ“ აღიარა და ის კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

ამის შესახებ პრემიერმა ბორდოში გამართულ ოფიციალურ ვახშამზე განაცხადა.

„ეს არის შესანიშნავი შესაძლებლობა ჩვენთვის და პირველ რიგში მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ საქართველოსათვის ნამდვილად ისტორიულ მოვლენაში მონაწილეობისთვის. ვგულისხმობ მეღვინეობის აკვნის — საქართველოსადმი მიძღვნილი ღონისძიების მეღვინეობის ციტადელში — ბორდოში ჩატარებას.

ჩვენ ნამდვილად უნიკალური შესაძლებლობა მოგვეცა, რათა წარმოგვედგინა უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა — საქართველო, რომელსაც მეღვინეობის 8 000-წლიანი ისტორია აქვს. ხშირად ამბობენ, რომ ქართველებს ვენებში სისხლის ნაცვლად ღვინო უჩქეფთ. მინდა აღვნიშნო, რომ ქართული კულტურა ასევე განმსჭვალულია მეღვინეობის ელემენტებით. ღვინო გვხდება ყველგან — მუსიკაში, პოეზიაში, ფრესკებში, ქართულ ორნამენტებში.



მართლაც, ის ფაქტი, რომ ჩვენ დავდგით ქვევრი — თიხის ისტორიული ჭურჭელი, რომელიც ღვინის დასაყენებლად გამოიყენება, წარმოადგენს ქართველების მრავალსაუკუნოვანი ოცნების გამოძახილს. „იუნესკომ“ ქვევრი აღიარა და ის შეიტანა კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. ქართველებისთვის კი ქვევრი ბევრად მეტს ნიშნავს.

გარდა ამისა, ქართული სუფრა — ეს არი სოციალური თანაარსებობის კიდევ ერთი წმინდა ქართული სახე. ის შედგება ოთხი მთავარი კომპონენტისგან: კერძები, ღვინო, სიმღერა და სადღეგრძელო.

თამადა ნებისმიერი სუფრის მეთაურია. სუფრაზე დაცულია სადღეგრძელოების მკაცრად გაწერილი თანმიმდევრობა და წესი. ქართველები ზოგჯერ სუფრის წესებს უკეთ იცავენ, ვიდრე — საგზაო მოძრაობისას. ამიტომაც, ხანდახან მეჩვენება, რომ საქართველოში თამადობა ჯობს პრემიერ-მინისტრობას.

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ქართველები ღვინოს სვამენ არა მხოლოდ ამ ცხოვრებაში, არამედ მის შემდეგაც — არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამარხებში აღმოჩენილია დიდი რაოდენობის ღვინის ჭურჭელი.

ამდენად, მოხარული ვარ, მოგიწვიოთ ჩვენს ქვეყანაში. ქართველები ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი ერია მსოფლიოში. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არიან ისინი ასე ერთგული თავიანთი რელიგიისა, არის ის, რომ ღვინო ზიარების ძირითადი კომპონენტია.

დიდი მადლობა.

ნება მომეცით, მოგიწვიოთ საქართველოში, რათა დააგემოვნოთ ქართული ღვინო, როგორც საქართველოს ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

დიდი მადლობა ამ შესაძლებლობისა და საქართველოს მეგობრობისათვის...

## პრემიერი გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე სიტყვით გამოვა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 21 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე სიტყვით გამოვა. ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

მთავრობის მეთაურის ხელმძღვანელობით, საქართველოს დელეგაცია გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაში მონაწილეობის მისაღებად, ნიუ-იორკს 18-22 სექტემბერს ეწვევა.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გიორგი კვირიკაშვილი მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს გამართავს.

პრემიერ-მინისტრი ასევე სიტყვით მიმართავს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) მაღალი დონის ღონისძიების მონაწილეებს, რომელზეც საქართველო OGP-ის თავმჯდომარეობას, ერთი წლით, საფრანგეთისგან გადმოიბარებს. საქართველო OGP-ის ისტორიაში პირველად გახდა 75 ქვეყნისგან შემდგარი ორგანიზაციის (ინიციატივის) თავმჯდომარე. OGP-ის მაღალი დონის ღონისძიება გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიის ფარგლებში გაიმართება.

გენერალურ ასამბლეაზე წელს 172 საკითხის განხილვა იგეგმება, მათ შორისაა „გაჭიანურებული კონფლიქტები სუამ-ის ქვეყნებში და მათი გავლენა საერთაშორისო მშვიდობაზე, უსაფრთხოებასა და განვითარებაზე“.

ასამბლეის გენერალური დებატები წელს 19-25 სექტემბერს გაიმართება.

## კახა კალაძის ურბანული პოლიტიკა



პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე დეველოპერებსა და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს მიმართავს და აცხადებს, რომ მისი მერობის პერიოდში მწვანე სივრცეებისა და კულტურული მემკვიდრეობის შეზღუდვის ხარჯზე მშენებლობის არც ერთი ნებართვა არ გაიცემა.

**„მე არ ვარ მშენებლობის წინააღმდეგი. პირიქით, ჩვენ ერთად უნდა შევუწყოთ ხელი ქალაქის სწორ განვითარებას, თუმცა, ახლა, გულწრფელად მინდა გითხრათ ყველას, რომ ჩემი მერობის პერიოდში, მშენებლობის არც ერთი ნებართვა არ გაიცემა, არც ერთი პროექტი არ განხორციელდება მწვანე სივრცეების, სკვერების, პარკების, სათამაშო მოედნების, კულტურული მემკვიდრეობის და საზოგადოებრივი სივრცეების შეზღუდვების ხარჯზე“,** — განაცხადა კახა კალაძემ ურბანული განვითარების პოლიტიკის წარდგენისას.

მერობის კანდიდატი დარწმუნებულია, რომ საზოგადოებასთან ერთად, ქალაქის გაჯანსაღებისთვის ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. კახა კალაძე იმედოვნებს, რომ პირველ რიგში, სწორედ საზოგადოება დადგება ხელისუფლების გვერდით, რათა ის პრობლემები ერთად გადაწყვიტონ, რაც ქალაქს ქაოტური განაშენიანების თვალსაზრისით აქვს.

**„მჯერა, რომ ჩვენ შევქმნით ამ ქალაქის ახალ, საამაყო ისტორიას, სადაც სათანადოდ იქნება დაფასებული ქალაქის წარსული, ყველა უბანი იქნება მოწესრიგებული, გამწვანებული და თანაბრად განვითარებული, სადაც ცხოვრება სასიამოვნო და სასურველი იქნება ადამიანებისთვის“...**

### განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქართულ ანბანს!

**შემუშავდება ქალაქის ვიზუალური სტანდარტი, რომელიც ქართულ სამართლებრივ სივრცეში აქამდე არ ყოფილა დამკვიდრებული** — ამის შესახებ ურბანული განვითარების პოლიტიკის წარდგენაზე იურისტმა ირაკლი ხმალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ქუჩების იერსახისთვის შეიქმნება ერთიანი სტანდარტი, რომელიც მოიცავს სარეკლამო აბრების, ფასადების და ვიტრაჟების, შენობის სახურავების, ნავიგაციის ნიშნებისა და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის სტანდარტებს.

ვიზუალური სტანდარტის პრეზენტაციაზე უცხოური ქვეყნების მაგალითები წარმოადგინეს და აღნიშნეს, რომ ეს პროგრამა ეტაპობრივად და უმტკივნეულოდ განხორციელდება.

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატის კახა კალაძის განცხადებით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აბრებზე და ვიტრინებზე ქართული ანბანის გამოყენებას.

### ისტორიული არეალების სარეაბილიტაციო პროგრამა

დედაქალაქში მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ისტორიული არეალების სარეაბილიტაციო ათპუნქტიანი პროგრამა განხორციელდება, რომლისთვისაც ნახევარ მილიარდ ლარამდე დაიხარჯება.

ამის შესახებ იურისტმა ირაკლი ხმალაძემ ურბანული განვითარების პოლიტიკის წარდგენისას განაცხადა.

**„ისტორიული ნაწილი ქალაქის ეკონომიკისა და ქვეყნის მოსახლეობისთვის განსაკუთრებულ სიკეთეს ქმნის. აქედან გამომდინარე, ჩვენს გუნდს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ამბიციური გეგმა გააჩნია. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ვაპირებთ, განვახორციელოთ ისტორიული არეალების სარეაბილიტაციო ათპუნქტიანი პროგრამა, რომელიც ნახევარ მილიარდ ლარამდე ღირებულების იქნება“,** — განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

მისივე თქმით, მსგავსი სამუშაოების შედეგად, უძრავი ქონების ღირებულება და მოსახლეობის ყოველდღიური შემოსავალი იზრდება, რომელიც ათპუნქტიანი პროგრამის პირდაპირი ბენეფიციარი იქნება.

აღნიშნული პროგრამის მიხედვით, სარეაბილიტაციო არეალებს შორის ორბელიანის მოედანი, მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორია, გუდიაშვილის მოედანი, ზემო კალის უბანი, ქვემო კალის უბანი, კოტე აფხაზის ქუჩა, ნიკო ფიროსმანის ქუჩა, სულხან-საბა ორბელიანისა და პავლე ინგოროყვას ქუჩები, გუდიაშვილის ქუჩა და ისტორიული ბაღები იქნება.

**ირაკლი ხმალაძემ კახა კალაძის ხედვა წარადგინა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით, ქალაქს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.**

* * *

ᲣᲠᲑᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐᲖᲔ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲣᲠᲑᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲕᲔᲚᲝᲞᲔᲠᲔᲑᲡ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲐ. ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ.



## დიმიტრი ქუმსიშვილი:
# მსოფლიო ბანკმა საქართველოში განხორციელებულ 100-ზე მეტ პროექტში 4.3 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა

**„ჩვენ ძალიან ვაფასებთ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერას. მხარდაჭერას, როგორც ქვეყნის ინსტიტუციონალური განვითარების, ასევე კერძო სექტორის გაძლიერების მიმართულებით. ჯამურად, ამ პერიოდის განმავლობაში, მსოფლიო ბანკმა 4,3 მლრდ-ზე მეტის ინვესტიცია გააკეთა ჩვენს ქვეყანაში, საიდანაც მიმდინარე პროექტები მილიარდზე მეტია,**



**ხოლო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ 1,8 მლრდ-ზე მეტის ინვესტიციები გააკეთა,“** — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტ სირილ მიულერთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

მსოფლიო ბანკის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი სირილ მიულერი, დღის მეორე ნახევარში მონაწილეობას მიიღებს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის თანამშრომლობის 25 წლისთავთან დაკავშირებულ ფორუმში, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება.

# თეა წულუკიანი: პროკურატურა და საგამოძიებო ორგანოები ახლა არიან უპრეცედენტოდ ღია, ვიდრე ოდესმე!

**„საქართველოს მთავარი პროკურატურა და საგამოძიებო ორგანოები ახლა არიან უპრეცედენტოდ ღია, ვიდრე ყოფილან ოდესმე“,** — ასე უპასუხა იუსტიციის მინისტრმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ გახმაურებულ საქმეებზე გაკეთებულ განცხადებას.



არასამთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნაზე, პროკურატურისგან ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით, თეა წულუკიანი ამბობს, რომ მთავარი საგამოძიებო ორგანოსგან ყველა იღებს იმ ინფორმაციას, რაც გამოძიების ინტერესს არ აზარალებს.

**„თუკი რაიმე ინფორმაცია ვერ გაიცემა, ვერ გაიცემა იმიტომ, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში, გამოძიების პროცესის ზოგიერთი ნაწილი არის საგამოძიებო საიდუმლოებით დაცული, მანამ სანამ საქმე არ წარიმართება სასამართლოში. ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, პროკურატურისგან ყველა ღებულობს იმ ინფორმაციას, რაც გამოძიების ინტერესს არ ვნებს და რაც დაშვებულია კანონით. თუკი ამის მიუხედავად, არსებობს პრეტენზიები, შეიძლება მხარეებმა ერთმანეთს არგუმენტები უკვე სასამართლო დარბაზში წარუდგინონ,“** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

# რა შემთხვევაში შექმნის უმრავლესობა საგამოძიებო კომისიას?

**კონკრეტული საქმეების გამოძიება საგამოძიებო უწყების საქმეა — პარლამენტის თავმჯდომარე „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ უპასუხებს. ირაკლი კობახიძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი გადაწყვეტს, რომ გამოძიება არასწორი მიმართულებით მიდის, მას შეუძლია საგამოძიებო კომისიის შექმნა.**



კითხვაზე, დაიბარებენ თუ არა პარლამენტში მთავარ პროკურორს, კობახიძე პასუხობს, რომ ეს ყველაფერი დამოკიდებულია შემდგომ კონსულტაციებზე და ასევე საქმის მიმდინარეობაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, გახმაურებულ საქმეებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, უახლოეს პერიოდში, პროკურატურის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს.

## თამარ ხულორდავა:
# აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რესურსი ამოწურულია...

**აუცილებელია, ევროპარლამენტმა თანამშრომლობის განსხვავებულ ინსტრუმენტზე იფიქროს, რადგან შეიძლება ითქვას, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რესურსი ამოწურულია,** — ამის შესახებ საზოგადოებრივ მაუწყებელს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ განუცხადა.



ხულორდავას თქმით, ევროპარლამენტის მიერ მომზადებულ დოკუმენტში საქართველოს მოლოდინები და წევრობის პერსპექტივა უნდა დაფიქსირდეს. თამარ ხულორდავამ ევროპარლამენტის მიმართ საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის საკანონმდებლო ორგანოების მიმართვა გაიხსენა, სადაც ქვეყნები ევროპული მისწრაფებისა და წევრობის პერსპექტივის დაფიქსირებას ითხოვდნენ.

**„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ევროპარლამენტის მიერ მომზადებული რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანია. ამ დოკუმენტში უნდა აისახოს ყველა ის მოლოდინი, რომელიც საქართველოს აქვს. საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის პარლამენტებმა მივმართეთ ევროპარლამენტს, სადაც ასოცირებული სახელმწიფოების მხარდასაჭერად, ევროპარლამენტის მყარ პოზიციას ვითხოვდით. შეიძლება ითქვას, რომ ევროპარლამენტში მიმდინარე პროცესები ამ თხოვნის გამოძახილია. ჩვენ გვსურს, რომ დოკუმენტში ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა აისახოს. 49-ე მუხლი ამბობს, რომ ევროპულ სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ევროკავშირის წევრები გახდნენ. წევრობამდე მისასვლელი გზა საქართველომ უნდა გაიაროს. ევროპარლამენტმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ ასოცირებულ სახელმწიფოებს განსაკუთრებული დამოკიდებულება სჭირდებათ“,** — აცხადებს ხულორდავა.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ევროპარლამენტმა საქართველოსთან თანამშრომლობის ახალ ინსტრუმენტებზე უნდა იფიქროს, რადგან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რესურსი ამოწურულია.

**„აუცილებელია, ევროპარლამენტმა თანამშრომლობის განსხვავებულ ინსტრუმენტზე იფიქროს. ჩვენ ვსარგებლობთ სამეზობლო ინსტრუმენტით. ფინანსური დახმარების მასშტაბები არ არის საკმარისი, ამბიციური გეგმების განსახორციელებლად. ვთხოვთ პარლამენტს, იფიქრონ ახალი ინსტრუმენტის შექმნაზე, რომელიც მეტი ფინანსური რესურსით, რეფორმების გატარებას დაუჭერს მხარს. აუცილებელია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობას შორეული გეგმები ჰქონდეს. ერთი შეხედვით, შეიძლება თქვა, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რესურსი ამოწურულია. გვაქვს ასოცირების ხელშეკრულება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, უვიზო მიმოსვლა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი გრძელვადიან პერსპექტივაზე ფიქრობს. ეს გულისხმობს ევროკავშირის სააგენტოებში და პროგრამებში საქართველოს მონაწილეობას“,** — აცხადებს თამარ ხულორდავა.

# უკრაინელი პოლიტოლოგები „ფეხებზემკიდია“ სააკაშვილის შესახებ



„საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს“ კორესპონდენტი ქსენია გულია უკრაინელ პოლიტოლოგებს საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პერსპექტივის შესახებ ესაუბრება.

**„მიხეილ სააკაშვილის მიერ სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტი უკრაინაში პოლიტიკურ არასტაბილურობას აძლიერებს. ამით ნათელი გახდა, რომ ხელისუფლება და მისი ინსტიტუტები სუსტია, მათ ვერ შეძლეს ამ დარღვევის თავიდან აცილება. ამასთან, უნდა ითქვას, რომ თვითონ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლებისათვის რაიმე მნიშვნელოვან საფრთხეს არ წარმოადგენს. მისი რეიტინგი ძალიან დაბალია. მას არ შეუძლია პრეზიდენტის არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენება, არა აქვს უკრაინაში ცხოვრების საკმარისი ცენზი. იმავდროულად შეინიშნება, რომ მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ გარკვეული ოპოზიციური ძალები იკრიბებიან. მაგრამ ეს არა იმდენად მიხოს ერთგულების მიზნით, არამედ პეტრო პოროშენკოს წინააღმდეგ. მიხოს ხელით შექმნილი დესტაბილიზაცია ძალიან აწყობთ იულია ტიმოშენკოს, ანდრეი სადოვოის, ანატოლი გრიცენკოს და სხვებს“,** — ამბობს ინტერვიუში პოლიტოლოგი რუსლან ბორტნიკი.

**— არსებობს თუ არა იმის შანსი, რომ კიევმა მიხეილ სააკაშვილი დააპატიმროს და თბილისს გადასცეს?**

— დღეს გამოკვეთილია ორი საკვანძო სცენარი: პირველი — სიტუაციის ესკალაცია მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებით და მეორე — კონფლიქტის გაყინვის მცდელობა ექსგუბერნატორის საქმის სასამართლოში გადაცემა-განხილვის მეშვეობით. საზღვრის დარღვევის კვალიფიკაცია შეიძლება მოხდეს როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის კოდექსით. ასე რომ, მოსალოდნელია როგორც ჯარიმა, ისევე 10-12-წლიანი პატიმრობაც.

**— რა როლს ასრულებს მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი რუსეთისათვის?**

— რასაკვირველია, რუსეთი ამ ყველაფერს ბოროტი სიამოვნებით უყურებს იმიტომ,რომ კრემლისათვის ორივე — მიხეილ სააკაშვილიც და პეტრო პოროშენკოც ძალიან შხამიან, გამაღიზიანებელ ფიგურებს წარმოადგენენ. მათ შორის მიმდინარე კონფლიქტი მოსკოვში უკრაინის დესტაბილიზაციის ელემენტად მიიჩნევა. რუსეთისათვის ეს ამბები სასიხარულოა.

* * *

**„უკრაინაში არაფერი კატასტროფული არ მოხდება. ხელისუფლება უკვე მიხვდა იმას, რომ ძალიან აკურატულად უნდა იმოქმედოს. რაც შეეხება თვითონ მიხეილ სააკაშვილს, მისი როლი უკვე განსაზღვრულია: იგი ოპოზიციის გამაერთიანებელ ფუნდამენტს ყრის. დღემდე ხელისუფლება ოპოზიციონერებს შორის შურსა და უთანხმოებას თესავდა. რასაკვირველია, ქარიზმატული და „ფეხებზემკიდია“ მიხეილ სააკაშვილი მობილიზატორ-მოტივატორის როლს კარგად შეასრულებს როგორც პოლიტიკური პარტიებისთვის, ასევე მოსახლეობისთვისაც. მძიმე სოციალური ფონი ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა“,** — ამბობს ინტერვიუში პოლიტოლოგი ვადიმ კარასევი.

**— ექნება თუ არა მიხეილ სააკაშვილს დასავლეთის მხარდაჭერა?**

— ამ ეტაპზე დასავლეთის ოფიციალურმა წრეებმა ლოდინის ტაქტიკა აირჩიეს. ჯერჯერობით, პეტრო პოროშენკოს საპირწონედ, მიხეილ სააკაშვილისთვის დემონსტრაციული მხარდაჭერა არავის გამოუხატავს. თუ დასავლურ მედიაზე ვილაპარაკებთ, დასავლური მედია სიმპათიებს უფრო მიხეილ სააკაშვილისადმი ამჟღავნებს. ზოგადად, ყველაფერი მოვლენების განვითარებაზე იქნება დამოკიდებული. შეიძლება პეტრო პოროშენკომ შიდაპოლიტიკური ანტიდემოკრატიული ნაბიჯები რუსეთის წინააღმდეგ მიმართული რიტორიკით გადაფაროს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. დასავლეთი დაინახავს, რომ ეს მხოლოდ კამუფლაჟია და ჯერ არაოფიციალურად, შემდეგ კი საჯაროდ მხარს დაუჭერს მიხეილ სააკაშვილსა და მის ირგვლივ შეკრებილ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ევროოპტიმისტებს უწოდებენ.

# მოწიწებით დალაგებული ჩუსტები თუ ხმლის მოლოდინი

**წერილს** სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ერთი სტატუსით დავიწყებ:

**„ეს დიალოგი ერთ-ერთი ახლადაშენებული სახლის ფანჯრებიდან მომესმა:**

**— ხომ გეუბნები, დეგენერატი ხარ! რომ ჩამოვა, მერე რას იზამ ჰაა? გამეცი პასუხი!**

**— მმმ, არაა, არ ჩამმმოვაა?!**

**— რას ეკვეხებოდი, რა პოლიტიკოსობა აგიტყდა? რომელი კიმ ჩენ ინი შენ ხარ? რო ადექი და გადაპორტირდი, რას ფიქრობდი? შენ არ მღეროდი, მიშა მაგარიაო, მთელ ოჯახს ყოველ დილა-საღამოს რომ გვამღერებდი?**

**— მაგარია არა ისა.**

**— გაჩუმდი, არ გაიგონოს!**

**— მე ჩემი ბიზნესის გადარჩენა მინდოდა, თორე პოლიტიკის დედაც და ზემოდან საქართველოსიც.**

**— ჰოდა, რომ ჩამოვა და მაგ შენი ბიზნესიანად რომ დაგიხევს ერთ ადგილას, მერე ნახავ! ბიზნესის გადარჩენა მოუნდა ბიჭს! არ გადაპორტირებულა არსად ის ჩვენი მეზობელი და რა? ვერ მისდის საქმეები გადასარევად? თვეში ორჯერ ხან ადეიშვილს ხვდება და ხან კეზერაშვილს. არა, „ოცნებისთვის“ იმდენი ფული რამ შეგაწირვინა, ოჯახში მოგეტანა, უკეთესი იქნებოდა.**

**— ჩამოვა არა, ქინძი.**

**— ქინძი კი არა, კიტრი! ახლა კიტრია მოდაში. რა იყო, ქინძი გირჩევნია, ხომ კიტრს, უფრო უმტკივნეულოა, არა?**

**— გაჩუმდი ქალო, მოვიფიქრებ რამეს.**

**— რისი მომფიქრებელი ხარ. ეჰ, ისევ მე თუ გიშველი...**

**ალოო, პანე დავიდ საკვარელიძზე ესლი მოჟნო. იზ ტბილისი. ლასკო, ლასკო. ჰო დათუნა როგორ ხარ? მიცანი? ოჰ რა წუწკი ხარ. გელოდები აბა რაა. ჰი, ჰი, ჰი...**

**მეტი ველარ გავიგონე, ფანჯარა დახურეს.“**



ცხადია მიხვდით, რომ ფეისბუქზე გამოქვეყნებული ამ დიალოგის მოქმედი გმირები, „ოცნებაში“ პორტირებული საშუალო დონის „ნაცი“ და მისი მეუღლე არიან, რომელთაც სააკაშვილის უკრაინულმა „ვოიაჟმა“ საკმაოდ დიდი საფიქრალი გაუჩინა: ვაი, რომ დაბრუნდეს?

მიუხედავად იმისა, რომ დიალოგი იუმორითაა გადმოცემული, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი დეპუტატის, დეპუტატობის კანდიდატის და მაღალჩინოსნის ოჯახში მსგავსი საუბარი ნამდვილად გაიმართებოდა და მათ, ვინც „წითელი ხუთიანი“ „ცისფერი ორმოცდაერთით“ შეცვალა, საკმაოდ დიდი „ჟიმჟიმი“ აუტყდებოდათ.

ადრე სულ მინდოდა, ის ადამიანი მენახა, ვინც დენი, ნაგავი და წყალი ერთმანეთზე მიაბა, ახლა კი იმის ნახვა მინდა, ვინც ამ ტიპებს რეკომენდაციას უწევს.

არადა, ისინიც როგორ „შესანიშნავად ართმევენ თავს“ დაკისრებულ მოვალეობას?

ნამდვილად „შესანიშნავად“. თანაც წარმომიდგენია ის ფრაზა, რომლითაც რეკომენდატორი „ქართული ოცნების“ ბობოლებს მიმართავს: აი ეს დანიშნეთ, მაგარია და საქმეს დედას უტირებსო.

დანიშნავენ და ისიც მართლა „დედას უტ... ავს ყველაფერს“.

რაც შეეხება თავად მიHას (სახელი „მიHა“ საკმაოდ მყარად დამკვიდრდა სოციალურ ქსელში), მის შესახებ უამრავი, ერთმანეთის გამომრიცხავი ვარაუდი თუ პროგნოზი ვრცელდება. ერთი რამ კი ნათელია: ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილად არ სურს სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლა. არ სურს არც ერთი ფორმით, თუნდაც ბორკილებდადებული და ამის თქმის უფლებას მაძლევს არა ის ფეიკი, რომელიც შსს მინისტრს რუსმა პარკერებმა დამართეს, არამედ ექსტრადიციის შესახებ, ამ ორიოდე დღის წინ გავრცელებული განცხადება: **უკრაინიდან საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ექტრადიცია მანამდე არ მოხდება, სანამ საქართველოს სასამართლო მას განაჩენს არ გამოუტანს. ამის შესახებ უკრაინულ ტელეკომპანია „112“-ს უკრაინის იუსტიციის მინისტრის მოადგილე დენის ჩერნიშევმა განუცხადა. მისი თქმით, სააკაშვილის ქვეყნიდან გაძევების საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობს, რადგან საქართველოში მის წინააღმდეგ განაჩენი ჯერ არ გამოუტანიათ.**

**„უკრაინაში არაფერი არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ სააკაშვილმა საზღვარი გადაკვეთა. ის დოკუმენტები, რომლებიც ჩვენთან და გენერალურ პროკურატურაში მოვიდა, მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოში სააკაშვილთან მიმართებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ეს არ არის ექსტრადიციის ეტაპი და მასში იუსტიციის სამინისტრო მონაწილეობას არ იღებს“,** — აცხადებს მინისტრის მოადგილე.

მგონი ჩემს კომენტარს აზრი არა აქვს, რადგანაც ყველაფერს თქვენ თავადაც კარგად მიხვდებით.

ამ განცხადების და ჩვენი სამართალდამცავების „ოპერატიულობიდან“ გამომდინარე, ისღა დამრჩენია მხოლოდ მწარედ ვიხუმრო და ვთქვა: **შუშა კიტრიც მინახავს, დიღმის კიტრიც, მჟავე კიტრიც, მაგრამ საზღვრის დამრღვევი კიტრი პირველად ვნახე.**

არადა რა დროს მიშაა, როცა „გაივსო ლოგინი ფეხებით“. უჰ, ფეხებით კი არა, ნაცებით. რა მნიშვნელობა აქვს, ის მაწანწალა აქ იქნება, თუ ლვოვში, მისი გიენებით ივსება საკრებულოები.

არა რა, აი ის „რეკომენდატორი“ აშკარად გენიოსია. ყოველგვარი რევოლუციის, ფოთლების ჩამოყრის, კარვების და ჩაის სმის გარეშე, ჩვენი ხელით ცვლის ხელისუფლებას.

დედას გეფიცებით, ბევრი არაფერი მინდა, უბრალოდ ავტოგრაფს გამოვართმევ და სელფს გადავიღებ, თუ დამთანხმდა.

თან აშკარად დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა არ არის (როგორც ბევრი ამბობს). არა, კი არ „ვაპრავებ“, უბრალოდ მშრალი ლოგიკიდან გამოვდივარ, რადგანაც არა მგონია, რომ ბიძო იჯდეს და საკრებულოების დეპუტატობის კანდიდატებს ცალ-ცალკე განიხილავდეს. ის ვიღაც ზედა რგოლში ზის, ოღონდ ცოტა გვერდზე და მედიას ემალება.

ამ თემას უფრო საფუძვლიანად სხვა დროს შევეხები. ახლა კი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს, მიწების გასხვისებას და ქართულ მარშს მივხედოთ!

„ქართულმა მარშმა“ თავისი არსებობის პირველივე დღიდან რეალური შედეგები მოიტანა. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ პლეხანოვზე მსვლელობის დაანონსების მეორე დღესვე ხელისუფლებამ საკმაოდ გონივრული ნაბიჯები გადადგა და რამდენიმე ბორდელი დახურა. ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრათ კანონდამრღვევებს. დადებითად შეიცვალა მიგრანტთა უკონტროლო შემოსვლასთან დაკავშირებული პროცედურები. ამ რამდენიმე დღის წინ თბილისის მერობის სახელისუფლებო კანდიდატმა კახი კალაძემაც გამოხატა თავისი პოზიცია უცხოენოვანი სარეკლამო ბანერების მიმართ.

„ქართული მარშის“ მიერ დაანონსებული აქციის წინ, პრემიერ-მინისტრმა



მიწების გასხვისებაზე საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა. ეს განცხადება ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა და ამიტომ მას არ შევეხები. უბრალოდ ვიტყვი, რომ ესეც „ქართული მარშის“ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

ცხადია, რომ „ქართული მარშის“ წინააღმდეგ მიმდინარეობს საკმაოდ მიზანმიმართული პიარ-კამპანია, რომლის შემადგენელი ელემენტებია „მე იმის გვერდით არ დავდგები“, „მარში პროვოკაციას უწყობს ხელს“, „ხელისუფლების კრიტიკა ნაცების წისქვილზე ასხამს წყალს“ დ.ა.შ. რაც „ქართული მარშის“ განქიქებას და მისი რეიტინგის დაცემას ემსახურება.

მე არ ვარ „ქართული მარშის“ დამფუძნებელი და მკვეთრად გამოხატული აქტივისტი, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის უმთავრესი არის შედეგი. შედეგი, რომელიც დამდგარა და რეალურად დგება.

ამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ერთი გულუბრყვილო შეკითხვა მინდა დავსვა: უნდა ავირჩიოთ მერები და საკრებულოების დეპუტატები. ჰოდა, მიწის გაყიდვის კანონს რომ ღებულობენ, რისი მერები, გამგებლები და ადგილობრივი კანონშემოქმედები იქნებიან? თუ ისე ფლობენ არაბულს და ინდურს, რომ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს „ადგილობრივ მოსახლეობას“ მშობლიურ ენაზე მიაწვდიან?

„ქართული მარშის“ როლის ყველაზე კარგი დახასიათება კი ის არის, რომ მას გიგა ბოკერია და სოროსის ლეკვები დაუპირისპირდნენ. ბოკერიამ განაცხადა, რომ ის „ღია ომს უცხადებს, „ქართულ მარშს“.

აი, იმ მოქილიკეებს მინდა ვკითხო: „ქართული მარშის“ კრიტიკით, თქვენ ხომ არ უშვებთ ბოკერიას და სხვა სოროსელების წისქვილზე წყალს?

ვასილი იანს აქვს ძალიან საინტერესო ტეტრალოგია შუა აზიაზე. იქ არის ერთი ფრაგმენტი:

1. მთვრალი მონღოლი გამოდის ბანაკიდან და ხვარაზმელ დეჰყანს (გლეხს) შეხვდება. მონღოლი მის მოკვლას გადაწყვეტს, მაგრამ ნახავს, რომ ხმალი ბანაკში დარჩენია.

ის ხვარაზმელს დაუბარებს, რომ დაელოდოს, სანამ ხმალს მოიტანს და წავა.

ის გლეხი ელოდება!

და მეორე: რობერ მერლის „სიკვდილი ჩემი ხელობაა“.

2. ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში დაფიქსირდა ასეთი პრეცედენტი: ტყვეები მიდიოდნენ გაზის კამერასთან. იცოდნენ, იქ რაც მოელოდათ და თავიანთ ჩუსტებს გაზის კამერის შესასვლელთან მოწიწებით აწყობდნენ!

ღირსება!!! თუნდაც მშიერი ღირსება!!! აი რა უნდა გვქონდეს, რომ სააკაშვილის გიენები, ტროცკის სულიერი შვილები, სამშობლოს გამყიდველები ვერ ბედავდნენ არამცთუ სახელისუფლო შტოებში ყოფნას, არამედ ქუჩაში გამოსვლასაც!

მე არავის არაფრისკენ არ მოვუწოდებ, ღმერთმა დამიფაროს. თავად გადაწყვიტეთ, რა გირჩევნიათ: ჩუსტებს დაალაგებთ მოწიწებით თუ ხმლის მოტანას დაელოდებით.

**გია გაბრიჭიძე**

## სააკაშვილის ძმის გაძევების საკითხი შეჩერდა



**კიევის** პეჩერსკის რაიონულმა სასამართლომ მიხეილ სააკაშვილის ძმის დავით სააკაშვილის გაძევების საკითხი შეაჩერა. ინფორმაციას პარტია „ახალი ძალების“ პრესსამსახური ავრცელებს. ამასთან, კიევის პეჩერსკის რაიონულმა სასამართლომ დავით სააკაშვილის სარჩელზე საქმის წარმოება დაიწყო. საქმის განხილვა 19 სექტემბერს გაიმართება.

**„მოვითხოვთ, სახელმწიფო მიგრაციის სამსახურის მთავარი სამმართველოს** პეჩერსკის რაიონულმა განყოფილებამ წარმოადგინოს მასალები, რომელთა საფუძველზეც მათ 1973 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქის დავით სააკაშვილის სამშობლოში ან მესამე ქვეყანაში იძულებითი დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს“, - ნათქვამია სასამართლოს დადგენილებაში.

## მოსამართლე შვებულებაში გასულა...

**ლვოვის ოლქის მოსტინსკის რაიონულ სასამართლოში ვერ იპოვეს მოსამართლე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონოდ გადალახვაზე აღძრულ საქმეს განიხილავს. ინფორმაციას უკრაინული გამოცემა „სტრანა“, სასამართლოში, საქმეთა განაწილების შესახებ დოკუმენტზე დაყრდნობით ავრცელებს. გამოცემის ცნობით, მსგავსი სიტუაცია იმის გათვალისწინებით შეიქმნა, რომ სასამართლო რეფორმის შემდეგ მოსტინსკის სასამართლოში მხოლოდ ორი მოქმედი მოსამართლე დარჩა და მათგან ერთ-ერთს იური კიჩაკს მოსამართლეობის ხუთწლიანი ვადა ამოეწურა. რაც შეეხება მეორეს — იური ბოივუსს, ის შვებულებაში გავიდა.**

შეგახსენებთ, რომ პროცესი 18 სექტემბერს არის ჩანიშნული. ბრალის დადასტურების შემთხვევაში მას 325 დოლარის ჯარიმა დაეკისრება. მისი ადვოკატის განცხადებით, მას შემდგ რაც სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს, არ იქნება საფუძველი იმისთვის, რომ სააკაშვილის ქვეყნიდან გაძევების პროცედურა დაიწყოს.

შენ მოგმართავენ, მასწავლებელო!

# უფალო, გევედრები, დიდი სიყვარულით შემაყვარე ჩემი სკოლა


გაბრიელა მისტრალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (ჩილე)

**გაბრიელა მისტრალს (1889-1957), დიდ ჩილელ პოეტს, ლათინური ამერიკის მწერალთაგან პირველს მიენიჭა ნობელის პრემია. გაბრიელა მისტრალის ფრთიან ფრაზებად იქცა: „აღსარებასავით გულწრფელი გაბრიელა“, „ცეცხლოვანი და ღვთისმოსავი გაბრიელა“, „ჩილეს მასწავლებელი გაბრიელა“.**

**გაბრიელა მისტრალის პოემები პროზად და მცირე მოთხრობები ესპანურიდან თარგმნა, თამამად შეიძლება ამის თქმა, ქართველმა მთარგმნელმა დიდოსტატმა მანანა გიგინეიშვილმა, რომელიც ყოველი თავისი თარგმანით ქართული ენის მადლს აზიარებს ქართველ მკითხველს.**

**ქვემოთ გთავაზობთ გაბრიელა მისტრალის ორ მცირე ქმნილებას — „მასწავლებლის ლოცვა-ვედრებას“ და „მასწავლებლის ათ მცნებას“.**

## მასწავლებლის ლოცვა-ვედრება

უფალო, შენ, რომელიც გვმოძღვრავ და გვასწავლი, მომიტევე, მეც რომ მოძღვრად და მასწავლებლად ვიწოდები, როგორც შენ მოგმართავდნენ ხოლმე დედამიწაზე.

გევედრები, დიდი სიყვარულით შემაყვარე ჩემი სკოლა. სილამაზე რომც დაჭკნეს და ჩაიფერფლოს, მაშინაც ნუ წამერთმევა სინაზე და სისათუთე.

უფალო, მიბოძე სულგრძელობა და მაშორე სულმოკლეობა. აღმოფხვერი ბილწი სურვილი შურისგებისა, ჯერ კიდევ რომ ბუდობს ჩემს გულში. ჭრილობას რომ მომაყენებენ, სამაგიეროს მიზღვის სურვილი თუ შემომეპარება, მისგანაც დამიფარე. შემეწიე, რომ არ გავწყრე, როცა ვერ გამიგებენ, და არ დავღონდე, ჩემი მოწაფეები თუ დამივიწყებენ.

მომმადლე ნიჭი სიყვარულისა, შემაძლებინე, რომ დედისა მჯობ დედად გავუხდე, დედასავით შევითვისო და დავიცვა ისინი, ვინც არ არის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ჩემი. მიბოძე ძალა, რომ ჩემი ლექსივით დავხვეწო და სრულვყო რომელიმე გოგონა ჩემს მოწაფეთაგან. და, როცა ჩემი ბაგეები ველარ შეიძლებენ გალობას, იმ დროისათვის მის სულში ჩამატოვებინე ჩემი ყველაზე უფრო სულისშემძვრელი ჰანგი.

უფალო, დამანახვე, რომ ჩემს დროშიც ცოცხლობს შენი სახარება, რათა ყოველდღე, ყოველ წამს შეუსვენებლივ ვიბრძოლო მის დასამკვიდრებლად.

შენ გაუმარჯვე ჩემს სახალხო სკოლას, რათა მისმა ბრწყინვალებამ გზა გაუნათოს შენი ლატაკი, ფეხშიშველა ბავშვების გუნდს.

მე, სუსტ და ღარიბ ქალს, შემაძლებინე, რომ განვერიდო ყოველგვარ ძალმოსილებას, უწმინდური გზით მონიჭებულს; მიბოძე ძალა, რომ არ გავიკარო ძალაუფლება, რომელიც შენი ცხოველმყოფელი ნებით არ გადმოვა ჩემზე.

უფალო, იყავ ჩემი მეგზური და ჩემი საყრდენი.

ვიცი, ბევრჯერ დავრჩები მხოლოდ და მხოლოდ შენს ანაბარა. როცა უფრო დავხვეწ, რასაც ვასწავლი, როცა ჩემი სიმართლე უფრო მწველი გახდება, ვიცი, ყველანი შემომეცლებიან. მაშინ შენ ჩამიკრავ გულში: შენმა გულმა იცის მარტოობისა და მიუსაფრობის სიმწარე, მხოლოდ შენს მზერაში ვიპოვი სითბოს და მხარდაჭერას.

მიბოძე უბრალოება და მიბოძე სიღრმე, დამეხმარე, რომ ჩემი ყოველდღიური გაკვეთილები არც რთული იყოს, არც ერთფეროვანი.

ყოველ დილით, როცა ჩემი სკოლის კარს შევაღებ, შემაძლებინე, დავივიწყო ჭრილობები, მკერდზე რომ მატყვია; შემაძლებინე, რომ სამუშაო მაგიდასთან არ მიმყვეს ჩემი სადღეხვალიო საზრუნავი, გაუთავებელი წვრილმანი სატკივარი.

უფალო, სიმსუბუქე მიანიჭე ჩემს ხელს, როცა ბავშვს ვსჯი, და სინაზე შეჰმატე, როცა ვეფერები. შემრისხე კიდეც, ტკივილი მომგვარე, უსიყვარულოდ თუ დავტუქსავ.

შენ შემეწიე, უფალო, რომ ქვით ნაშენები ეგ ჩემი სკოლა სულიერად აშენდეს და აღორძინდეს; ჩემმა თავდაუზოგავმა შემართებამ მოიცვას მისი უბრალო დერეფნები და სადა საკლასო ოთახები; შემეწიე, რომ ჩემი გული დედაბოძად შეუდგეს სკოლის შენობას და ჩემი თავდადება მდიდრული სკოლების მოოქროვილ სვეტებზე უფრო ძლიერი ბურჯი და ჭეშმარიტი განძი გახდეს ჩემი სკოლისთვის.

ბოლოს კი, ველასკესის ერთი ფერგაცრეცილი ტილოს მეოხებით შემახსენე, რომ ამქვეყნად დიდი სიყვარულით ასწავლიდე, — ეს იგივეა, ჯვარცმული მაცხოვრისთვის ლონგინოზ ასისთავის მიერ ნაძგერები შუბით დაჭრილი და სიყვარულით ანთებული გულით მიატანო განკითხვის დღემდე.

## მასწავლებლის ათი მცნება:

**1. გიყვარდეს მთელი გულითა და სულით. თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს;**
**2. ასწავლე სადად, უბრალოდ, ისე რომ მთავარი არ გაგეფანტოს;**
**3. გაიმეორე, როგორც ბუნება იმეორებს, ვიდრე არ მიაღწევს სრულყოფილებას;**
**4. ასწავლე ისე, რომ გახსოვდეს მშვენიერება, რადგან იგი დედაა ყოველივესი;**
**5. იყავი გულანთებული, ლამპრები რომ აანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში;**
**6. სული შთაბერე გაკვეთილს. ყოველ გაკვეთილს სული უნდა ედგას ცოცხალ არსებასავით;**
**7. იზრუნე შენი სულის ამაღლებაზე, რომ გასცე, უნდა გქონდეს;**
**8. გახსოვდეს, შენი პროფესია ხელობა კი არა — ღვთისმსახურებაა;**
**9. ყოველდღე, გაკვეთილის დაწყებამდე, საკუთარ სულში ჩაიხედე, წმინდა თუ გაქვს გული;**
**10. იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა.**

# ახალი სასწავლო წელი სოფელ ახოს განახლებულ სკოლაში

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოში განახლებული სკოლა გახსნა. მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად სკოლის გახსნა ადგილობრივ მოსწავლეებს რეგიონის განათლების მინისტრმა ინგა შამილიშვილმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით დუმბაძემ მიულოცა.**



საზეიმო გახსნის შემდეგ ზურაბ პატარაძემ ახალი სასწავლო წლის დაწყება პირველკლასელებთან ერთად სკოლის ყველა მოსწავლეს, მშობელს და პედაგოგს მიულოცა. მთავრობის თავმჯდომარემ სრულად რეაბილიტირებული სკოლის საკლასო ოთახები დაათვალიერა. როგორც ზურაბ პატარაძემ აღნიშნა, განსაკუთრებით სასიხარულოა ზემოთიან აჭარაში სკოლების რებილიტაციისა და მშენებლობის საკითხი, რაც ხელს უწყობს მთაში მოსახლეობის დამაგრებას და მათი პირობების გაუმჯობესებას.

მაღალმთიან ქედაში მდებარე ახოს სკოლა აჭარის განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს ქვეპროგრამის „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ ფარგლებში განახლდა. სკოლის სრული რეაბილიტაციისთვის ახოს საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის 380 000 ლარი გაიხარჯა. სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ფარგლებში შეიცვალა იატაკები, კარ-ფანჯრები და სახურავი. პროექტის მიხედვით განხორციელდა ელქტროტექნიკური, წყალ-კანალიზაციის, სახანძრო სისტემის და ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები. სკოლაში 67 მოსწავლესთან 17 პედაგოგი მუშაობს.

აჭარაში წელს 5383 პირველკლასელი დარეგისტრირდა. აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, ახალ სასწავლო წელს გაიხსნება 2 ახალაშენებული სკოლა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარასა და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოში; 2017 წელს დაიწყო და 2018 წელს დასრულდება 5 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა. 2017 წელს სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდება 24 საჯარო სკოლას.

# 575 პირველკურსელი ბათუმის საზღვაო აკადემიაში

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილთან ერთად ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.**

მთავრობის თავმჯდომარემ აკადემიის ეზოში შეკრებილ პირველკურსელებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა: **„მოხარული ვარ, რომ უკვე მეორედ მომეცა საშუალება მივულოცო აკადემიის პირველკურსელ სტუდენტებს სწავლის დაწყება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სამახსოვროა ეს დღე თქვენთვის, პირველკურსელებისთვის, რადგან დღეს თქვენ დგახართ ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპის დასაწყისთან — ეს არის პროფესიის არჩევის და სტუდენტობის ეტაპი, დრო, რომელიც ყველაზე მეტად გვამახსოვრდება და ყველაზე მეტად განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. მე განსაკუთრებით ამაყი ვარ დღეს, როცა ვხედავ მეზღვაურთა ფორმაში გამოწყობილ ამდენ ახალგაზრდას, რომლებმაც მთელს მსოფლიოში საპატიო და საამაყო პროფესია აირჩიეს. ბათუმი ხომ მეზღვაურთა ქალაქია. მე არაერთხელ მითქვამს, რომ მეზღვაური სტუდენტები განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ჩვენს ქალაქს და ამაში ყველანი დამეთანხმებით. თქვენ გახდით სტუდენტები ბათუმის საზღვაო აკადემიის, რომელიც დღეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის კვალიფიციურ კადრებს ამზადებს. ბოლო პერიოდში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა რეფორმებმა გავლენა მოახდინა საზღვაო აკადემიის რეიტინგის ამაღლებაზე და წელს საზღვაო აკადემიას 575 პირველკურსელი ჰყავს, არც ერთი ვაკანტური ადგილი არ დარჩა, რაც განაკუთრებით მახარებს“** — აღნიშნა მილოცვის სიტყვაში აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

# დაღუპული პოლიციელის შვილი სკოლაში პირველად გიორგი მღებრიშვილმა წაიყვანა

**შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელის ზურაბ ზოიძის პირველკლასელ შვილს სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ბათუმში ესტუმრა, საჩუქრები გადასცა და სკოლაში წაიყვანა.**

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოს უფროსის მოადგილე ზურაბ ზოიძე 2009 წლის 15 დეკემბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა. ზურაბ ზოიძეს დარჩა მეუღლე - მაია ფარტენაძე და 2 წლის გოგონა მარიამი. მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, 2010 წლის 10 აგვისტოს, ოჯახში ბიჭიც დაიბადა და მას მამის სახელი — ზურა დაარქვეს. მეუღლის გარდაცვალების შემდგომ მაია ფარტენაძემ მუშაობა შსს-ს სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოში დაიწყო. გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით, უკვე მესამე წელია, ტრადიციად დამკვიდრდა, რომ შსს-ს დაღუპული თანამშრომლების პირველკლასელ შვილებს შს მინისტრი და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელები სასწავლო წლის დაწყებას პირადად ულოცავენ, საჩუქრებს გადასცემენ და სკოლაში მიჰყავთ.





იოსებ იმედაშვილი

# ვირტაჭი: ნეოლოგიზმი ეპოქის სახედ



ჯემალ ინჯია

## ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

ჯემალ ინჯია სადღაც გადააწყდებოდა, რომ პროლეტარულ მწერალს სეზმან ერთაწმინდელს ამ სათაურის პიესა ჰქონოდა დაწერილი – „ვირტაჭი“, სახელწოდება ასე ხელშესახებად რომ გამოხატავდა ეპოქის სულს, ახალი სიტყვების დამკვიდრების ტენდენციას: აბა როგორ, ბოლშევიკებს სამეტყველო ენაც თავისი უნდა ჰქონოდათ, მოძველებულს, ყავლგასულს ხომ არ დასჯერდებოდნენ!..

და კიდეც უბიძგებდა ეს უცნაური გამოთქმა ლექსის შესათხზველად: „პროლეტარულ მწერალს“ („მერმისი“, 2016, №3).

მაინც რას ნიშნავს ეს სიტყვა: ვირტაჭი?

იოსებ იმედაშვილს იმთავითვე განემარტა, „ახალ სიტყვათა ლექსიკონის“ შედგენასაც რომ მოჰკიდებდა ხელს.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ რომ გამოეცა, 1130-გვერდიანი და ათი ათასამდე უცხო სიტყვას განმარტავდა, ამ მხრივაც განაგრძობდა მოღვაწეობას, სულხან-საბა ორბელიანის კვალზე შემდგარი, და „ქართული ლექსიკონის“ შედგენასაც ჩაუჯდებოდა, „კუთხურ გამოთქმა-სიტყვიერების ლექსიკონისაც“ და „ჩეჩნურ-ინგუშურ-რუსულ-ქართული მოკლე ლექსიკონის“ აუცილებლობასაც შესაფერისად მიხედავდა. ენციკლოპედიებსაც რომ ლექსიკონებად მოიხსენიებდა, ეს კიდევ ცალკე. მაგრამ... კომუნისტურ სიტყვათა ლექსიკონის შედგენა რაღამ მოაფიქრა?

ეს უფრო იუმორისტული, ის კი არა სატირული მასალა ჩანს.

კობა იმედაშვილი ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ჩემი საუკუნე“ („ინტელექტი“, 2016) გაიხსენებდა პასაჟს პაპის დღიურიდან, 1931 წლის 26 ივნისით რომ დათარიღებულა, „ახალ სიტყვათა ლექსიკონს“ გამომცემლობა „შრომას“ რომ წარუდგენდა ეს მრავალმხრივი მოღვაწე და... უიმედოდ ჩაინიშნავდა: არა მგონია, დაბეჭდონო.

მძიმე რეალობა უკეთესს ანკი რას აფიქრებინებდა თვით იმ კაცსაც, ციხე და კატორღა რომ გამოევლო და... მაშინაც არა ყოფილა ასე ყოველმხრივ ხელფეხგაკრული, რა დღეშიც ამჟამად ჩავარდნილიყო:

– საერთოდ, ჩემი სამწიგნობრო მუშაობა ძლიერ ცუდად მიდის, – მეფის დროს, როგორც იქნა, ეს უფლება მოვიპოვე, მართალია, მადუხჭირებდნენ, მაინც ვწერდი, ვცემდი, – ახლა კი ყოველივე ამას მომაშორეს და სულიერი სიკვდილიც დამეწყო. ძლიერ მძიმეა ჩემთვის ეს, ვფიქრობ ჩემ წინაალმდეგ კერძო ინტერესებიც უნდა ამოქმედებდეს მტრებს.

მეორე დღეს ამ ლექსიკონს ვუკოლ ბერიძე... ფილიპე მახარაძეს წარუდგენდა.

როგორც იოსებ იმედაშვილს ამცნობდნენ: მის წინაალმდეგ ისეთ სიტყვებს მოიყვანდა, აშკარა პროვოკაციისა და მაბეზღარობის სუნი რომ უდიოდა.

დღიურში ის სიტყვები უშუალოდ არ არის აღნიშნული, ამიტომაც კობა იმედაშვილი თავისთვის ივარაუდებდა და მკითხველსაც გაუზიარებდა ამ ვარაუდს გარკვეული შთაბეჭდილების შესაქმნელად:

**აგიტპროპბეჭდვგანი.**
**გლეხპროლეტარიზაცია.**
**აკვაჭსახკომატი.**
**აპწმენდა.**
**კაკი.**

და სწორედ ის ვირტაჭიც, ჯემალ ინჯიას ასე რომ გაახალისებდა მისი გაგონება. ის სხვა სიტყვები არ იცოდა, თორემ შესაძლოა თითო ირონიულ-სატირული ლექსი ყოველი მათგანისთვისაც მიეძღვნა.

ეს სიტყვები როგორ განიმარტებოდა იოსებ იმედაშვილის ლექსიკონში და:

– აგიტაცია-პროპაგანდის ბეჭდვითი განყოფილება (პარტიის, ხელისუფლების თუ სხვა), რომლის მიზანია ჟურნალ-გაზეთების, წიგნების ანუ ბეჭდვითი სხვა ნაწარმოების საშუალებით ხალხში გარკვეული მსოფლმხედველობისა და მისწრაფების გავრცელება-განმტკიცება.

– გლეხთა პროლეტარიზაცია, გლეხობის გაღატაკება, გაბოგანოება, მის მიერ საკუთრების, საწარმოო საშუალებათა დაკარგვა, თავის რჩენა სამუშაო ძალის გაყიდვით, მუშაობით, მოჯამაგირეობით და სხვა.

– ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

– აპარატის წმენდა.

– კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი.

და აჰა, დგება დრო ნეტარხსენებული „ვირტაჭის“ განმარტებისაც:

– ვირშებმული ტაჭკა, ქუჩა-ქუჩა ფეხზე მოვაჭრე, კინტოების ორთვალა, ყუთივით შეკრული, ვირით სატარებელი ეტლი მწვანილეულის, ხილის, ბოსტნეულის და სხვათა სავაჭროდ.

და ლექსიკოლოგი დასძენდა:

დაცინვით იხმარებაო.

ხოლო ავტობიოგრაფიული თხზულების ავტორი თავის მხრივ დაურთავდა:

ამ რამდენიმე სიტყვაში ეპოქის ხასიათი ჩანს მთელი მისი ტრაგიზმითა და კომიკურობით, თვით ხალხის ირონიული დამოკიდებულებით იმ ქართული ყოფისა და ენისადმი, რომელსაც ბოლშევიკები ქმნიდნენო.

ფილიპე მახარაძეს არ გამოეპარებოდა, ეს „ლექსიკონი“ მართლაც ეპოქის სამარცხვინო დოკუმენტი რომ იქნებოდა და... კიდეც აკრძალავდა მის გამოცემას.

ვუკოლ ბერიძე წინასწარვე გრძნობდა, რა აჟიოტაჟსაც გამოიწვევდა „ახალ სიტყვათა ლექსიკონის“ გამოცემა – მოხსნა ხელში ეჭირა, და ეგებ მოხსნა არც ეკმარებინათ მისთვის... ამიტომაც თავს დაიზღვევდა, ხელისუფლებას რომ მიურბენინებდა და ყველაზე „საჩოთირო“ ადგილებს საგანგებოდ გააცნობდა.

იოსებ იმედაშვილს, მისი განსაკუთრებული ავტორიტეტის გამო, ვერ შებედავდა უარს.

ამიტომაც „ზემოდან“ დაუვლიდა – ფილიპე მახარაძეს აკრძალვინებდა, და აღარ გაუწევდა ანგარიშს, ამ საქციელს პოლიტიკურ დასმენად რომ ჩამოართმევდნენ.

იმ წუთას ანკი რას ინაღვლებდა – გადარჩენით კი გადარჩებოდა და...

გამომცემლობაში მოწონებით კი მოიწონებდნენ მის ამ ორიგინალურ სიტყვარს, კიდეც ძალიან მონდომებულიყვნენ გამოცემას, მაგრამ... დაბეჭდვას უკვე რაღას გაბედავდნენ: მონოპოლია „სახელგამისა“ არისო, – ასე დაუსაბუთებდნენ უარს, როგორც იოსებ იმედაშვილის დღიურის 28 ივნისის ჩანაწერი გვამცნობს.

ჩარჩებოდა სხვა ბოლშევიკური სიტყვა-გამოთქმები ამ გამოუცემელი და არქივში დაბინადრებული ლექსიკონის ფურცლებზე.

მაგრამ აი „ვირტაჭს“ აიტაცებდა პროლეტარული მწერალი და სულაც სათაურად ჩასვამდა.

და ჯემალ ინჯია ხელიდან როგორ გაუშვებდა ამ სიტყვას იმ ჟამისა და ჟამიანობის დასახასიათებლად.

პროლეტარული მწერლის სახელსაც ეკვილიბრისტულად გამოიყენებდა: სეზმან – სეზან, – და „ვირტაჭივით“ გაათამაშებდა:

**იმ კლდეს, არსენამ განძი რომ დაფლა,**
**ვეძებ, ვბუტბუტებ: „სეზამ, გაიღე!“**
**ჟამმა, რომელიც შეგერგო თაფლად,**
**დააგდო შენი კალამი დაბლა,**
**„ვირტაჭის“ მძღოლო სეზმან, გაიგე.**

**დიდი ხანია, არსენას იმ ფულს**
**გამოუვიდა უთუოდ წირვა,**
**შენ რა გაძლევდა იმხელა იმპულსს,**
**რომ პიესებით სცენაზე მიბმულს,**
**აღმოგხდებოდა: „შემხედეთ, წინ ვარ“.**

**მწერალთა კასტას ზოგჯერ ზურგი აქვს,**
**ხალხი ერთმანეთს „ჭამდა“. იმ დაჭმას**
**მომავლისათვის რამე ურგია?!**
**ძვირფასო, კვალი დრამატურგიას**
**ვერ დააჩნია შენმა „ვირტაჭმა“.**



ისე რა უცნაურია:

თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდებოდა ჯემალ ინჯიას „პროლეტარულ მწერალს“ და კობა იმედაშვილის „ჩემი საუკუნე“: ერთი – ჟურნალში და მეორე – წიგნად.

უცნაური თუ... სავსებით კანონზომიერი?!.

**როსტომ ჩხეიძე**

## რაც ცხოვრებამ მიკარნახა...

### დიდი ქართველი

**ფრიდონ თოდუას**

სტალინს უწოდა დიდი ქართველი
და ნაღდ ქართველთა მოიგო გული,
მწამს, შეარცხვინა ზოგი მმართველი,
თანაც სიმართლის დარჩა ერთგული.

თუ იყო ეჭვი, ყველა გაფანტა
და ღვთის წინაშეც დგას პირნათელი,
დიდი ქართველის სულიც განათდა,
თავადაც დარჩა დიდი ქართველი!

### არდაჩოქილ საქართველოს!

ჯერაც ქართულ მზეს და ზეცას,
მთას და მდელოს,
იმ ნაღდ ქართველს, ვინც ერისთვის
დაიხარჯოს,
უღალატო, უჯალათო საქართველოს,
არდაჩოქილ საქართველოს გაუმარჯოს!!!

### რამ შეგაჯავრა?

თუ ხარ ამ ქვეყნის მმართველი,
რამ შეგაჯავრა ქართველი?
ასე ვერაფერს გახდები
და უეჭველად წახდები.

გადამთიელთა მონებას
გიჯობს, მოუხმო გონებას.
თუ ხარ ამ ქვეყნის მმართველი,
უნდა გიყვარდეს ქართველი!

### მართალს ვიტყვი

„მართალს ვიტყვი, შევიქნები
ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა,
უფერულთა პირ-საფერად.“

გავსებულა ზღვისპირეთი
თურქ-სომხებით, ყაზახებით,
შენი გული, ვერაგული,
ცხადი გახდა, გასაგები.

მიტომ არის გაყიდული
რკინიგზა და მდინარეთი,
რომ დაამცროთ ქრისტეს რჯული,
მოამრავლოთ მინარეთი.

ასეთ დღეში საქართველო
არასოდეს არ ყოფილა,
ჩვენი ტურფა მთა და მდელო
სათარეშოდ დაყოფილა.

არც კი არის დასაჯერი,
მიტომ მიჭირს დასაჯერად,
კაცი, თვითონ დასაჭერი,
სხვებს რომ დასდევ დასაჭერად.

„მე თუ გინდა, თავიც მომჭრან,
ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

* * *

ქართველი კაცი მინახავს ბოროტი,
მინახავს ბოღმა, თავკერძი,
მაგრამ ასეთი უღირსი ბოლომდი
არ მახსოვს, კაცი დავბერდი!

### სასაცილოა

სასაცილოა, როცა ვარდნარებს
ყვავი იფერებს ვერანი,
სასაცილოა, როცა ყვარყვარეს
შესციცინებენ ყველანი.

ნეტავი,ხალხმა ეს თუთაბერი
დროზე იცნოს და გარიყოს,
სასაცილოა ეს ყველაფერი,
სატირალი რომ არ იყოს!

### ღმერთმა შეგინდოთ!

არა მგონია, იყოთ მართალი,
ჩვენს დამაქცევარს ვინც რას პატიობთ,
ღმერთმა შეგინდოთ ეგ სამართალი,
ერმა იქნება არც გაპატიოთ!

### „ნაძრახ ყოფას ჩვენ სამარის მიწა გვიჯობს“

ანა კალანდაძე

ისევ შეგვზარეს „ციხის კადრებმა“,
სამშობლოვ, ნუთუ ეს გეკადრება?
ან როგორ ითმენ ნაძირალს ამდენს,
იმ ავკაცობის დამკვეთს და ჩამდენს?

განა ეს იყო შენი მისია?
რამ დაგიბინდა, ხალხო, გონება?
„ფურთხის კი არა, მეტის ღირსია“,
ამ „ნაძრახ ყოფას“ ვინც ემონება!

### რაისი



თუ მოიქუფრა ჩვენთან
მაისი,
არც ვაშინგტონში
ბრწყინავსო,
ისე განიცდის ჩვენს
ბედს რაისი,
დღეგამოშვებით სძინავსო.

**გურამ ჭავჭანიძე**




# თანამედროვე „სიბრძნე სიცრუისა"

## მშიშარა

კაცმა თავის მოკვლა გადაწყვიტა და აღელვებულ ზღვაში შევიდა. ზღვამ ჰკითხა, თავის მოკვლა რამ გადაგაწყვეტინაო.

გაჭირვებამო, მიუგო კაცმა.

— მერე, რაღას უცდი?.... შემოდი. — უთხრა ზღვამ.

— სიკვდილის მეშინია. მშიშარა ვარ, მშიშარა. — ატირდა კაცი.

მშიშარა იმიტომ ხარ, რომ გაჭირვებისა გეშინია, თორემ სიკვდილისა უშიშარსაც ეშინიაო, მიუგო ზღვამ და ტალღებში მოიქცია.

## წინ ნუ დამიდგები

კაცმა შესუსტებული მდინარის კალაპოტი მოასწორა და ყანა დათესა. დიდი წვიმების შემდეგ მდინარე ადიდდა. კაცი აბიბინებულ ყანას გადაეფარა და მდინარეს შეეხვეწა, ნუ გამწირავ, ჩემს შრომას წყალს ნუ გაატან, შემიბრალეო.

— ოდესმე გინახავს, წყალი აღმა შებრუნდეს? როცა ავდიდდები და ავიმღვრევი, მაშინ მაინც მოუხმე ჭკუას და წინ ნუ დამიდგები! — შესძახა მდინარემ და კაცი თავის ყანიანად გაიტაცა.

## ბნელ ოთახში

კაცი ბნელ ოთახში იჯდა და გათენებას ელოდა. თაგვმა ჰკითხა, კი მაგრამ ამ ოთახში როგორ გაიგებ, როდის გათენდებაო.

ჩემთვის უნდა გათენდეს, თორემ ქვეყანაზე მზე როდის ამოდის და ჩადის, აღარ მაინტერესებსო, მიუგო კაცმა.

## მეზობლის რჩევა

საქმით დაღლილმა ქალმა მეზობელს შესჩივლა, შვილზე ზრუნვამ დამღალა, წამოზრდი თუ არა, სახლიდან უნდა გაუშვა და რაც უნდა, ისა ქნაასო...

— მართალს იძახი, მართალს.... ყველა ცხოველი ეგრე იქცევა.

— რა ცხოველი, ქალო, მთელი დასავლეთი ეგრე არ იქცევა?!.

— ისინიც ცხოველებს ბაძავენ და რაღა შორიდან მოუარო, პირდაპირ ცხოველებს მიბაძე. — ურჩია მეზობელმა.

## სხვისი ფული კაცს ამუნჯებს

სსოფელში ხმა დაირხა, მდიდარი ფულს არიგებსო და ყველა ამ კაცთან გარბოდა. მოხუცმა შეაჩერა და უთხრა, კაცი როცა ღატაკს ეხმარება — გასაგებია; ავადმყოფს, ქვრივს, ნათესავს, მეგობარს — ესეც გასაგებია, მაგრამ მთელ სოფელს რომ ფულს ურიგებს, დაფიქრდით, საკუთარი თავი არ გაყიდოთო.

მოხუცს ყური არ უგდეს, ფული ჩაიჯიბეს და სახლებში დაბრუნდნენ.

გამოხდა ხანი და ხმა დაირხა, სოფლის ტყე იყიდებაო. ტყის ყიდვის შესაძლებლობა რამდენიმე კაცს ჰქონდა, მათ შორის, იმ მდიდარსაც, სოფელში ფული რომ დაარიგა. ხალხმა იფიქრა, რაღა სხვამ წაიღოს, სჯობია ამ კაცმა იყიდოს, ადრეც დაგვეხმარა და კიდევაც დაგვეხმარებაო. მხარში ამოუდგნენ და ტყე აყიდინეს.

მოვიდა ზამთარი. მდიდარმა შეშას ისეთი ფასი დაადო, ხალხს ელდა ეცა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღეს.

მოხუცმა შეხედა დამუნჯებულ თანასოფლელებს და უთხრა, ფულს როცა გაძლევენ, იმაზე დაფიქრდით, ფულის მომცემს რა უნდა და არა იმაზე, რაც თქვენ გინდათ, თორემ სხვისი ფული კაცს ამუნჯებსო, და წავიდა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 93, 186

## ბრმა მეურმე

ურემი ერთხელ გადაბრუნდა, გზა არ გამოჩნდა, მეორედ გადაბრუნდა, გზა არ გამოჩნდა, მესამედ გადაბრუნდა და ხარებმა ბღავილი დაიწყეს.

რა გაბღავლებთო, დაუძახა გამვლელმა.

მეურმე ბრმა გვყავს და ვერც ჩვენს ტანჯვას ხედავს და ვერც — გზასაო, უპასუხეს ხარებმა.

## შენი ადგილი

მგელი კარგმა ცხოვრებამ ისე გაასუქა, თავი ლომი ეგონა და მეფობა მოუნდა. ურჩევდნენ, შენი ადგილი იცოდეო, მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ აღარ ახსოვდა თავისი ადგილი.

ერთ დღეს მგელი მკვდარი იპოვეს. შუბლზე ეწერა, ჩვენ ვიცით შენი ადგილიო.

## სიკვდილის შვილი

კაცი ორმოცი წლის იყო და ცოლი არ მოჰყავდა. მშობლები ეხვეწებოდნენ, შვილო, სიკვდილის შვილები ვართ, ცოლი მოიყვანე, უშვილუძიროდ ნუ გადაეგებიო. მათი მოსმენა აღარ უნდოდა, იძახდა, ცოლშვილს მოვესწრები, რა მეჩქარებაო.

ერთ დღეს სახლის სახურავიდან კრამიტი ჩამოვარდა და თავში დაეცა. მომაკვდავი მშობლებს ეხვეწებოდა, მიშველეთ, უცოლშვილოდ ნუ მომკლავთო.

მშობლებმა უთხრეს, სიკდილზე მაშინ რომ გეფიქრა, როცა გეუბნებოდით, ახლა თავთან ჩვენ კი არა, ცოლ-შვილი გედგებოდაო.

## ხელს მიშლის

კაცი თვალდახუჭული იდგა. გამვლელმა ჰკითხა, რას აკეთებ, თვალები რად დაგიხუჭიაო.

თვალი ხელს მიშლის იმის დანახვაში, რაც არა ჩანსო, მიუგო კაცმა.



## თხოვნა

ბატკანმა მშობლების თხოვნა არაფრად ჩააგდო და ფარას ჩამორჩა. ბუჩქებში მგელი იყო დამალული, ეცა და დაიჭირა.

— არ შემჭამო, პატარა ვარ, შემიბრალე! — სთხოვა ბატკანმა.

შენ შენი მშობლების თხოვნა არ შეისმინე და მე შენი თხოვნა რატომ უნდა შევისმინოო.... — მიუგო მგელმა და ბატკანი შეჭამა.

## ანდერძი

შვილებისგან მიტოვებულმა მოხუცმა ანდერძი დაწერა და თავი ჩამოიხრჩო. ანდერძის ნახვით გახარებულმა შვილებმა პატივით დაკრძალეს. სასაფლაოდან დაბრუნებულებმა ანდერძი გულისფანცქალით გახსნეს და ელდა ეცათ.

სიცოცხლის მეტი არა გამაჩნია რა და წაიღეთო, წერდა მოხუცი.

## სიზმარში ყოფნა

კაცს ქეიფი მოენატრა, კარგი სუფრა გაშალა და თანამშრომლები მიიპატიჟა. იქეიფეს, სვეს, ჭამეს, იცეკვეს, იმღერეს და გაცილებისას ნასიამოვნებმა თანამშრომლებმა უთხრეს, დიდი ხანია, ასე არ მოგვილხენია, გვითხარი, ჩვენგან რა გინდაო.

— არაფერი. — უთხრა მასპინძელმა.

თანამშრომლებს გაუკვირდათ, ამ დროში, უმიზეზოდ საკუთარ ოჯახში ვერ გვიქეიფია და გამოდის, რომ სიზმარში ვიყავითო.

ცხოვრება ისე დამძიმდა, სიზმარში ყოფნა თუ შეგვიმსუბუქებსო, უთხრა მასპინძელმა და სტუმრები გააცილა.

## თავისუფალი

ერთი კაცი ზამთარში შიშველი დადიოდა და ზაფხულში — თბილად ჩაცმული. მეზობლებმა ჰკითხეს, რას შვრები, კაცო, დრო-ჟამი აგერიაო?

ევროპას ვუმტკიცებ, რომ თავისუფალი ვარო, მიუგო კაცმა.

## აუტანელი კაცი

ერთი ანჩხლი და აუტანელი კაცი იყო. მშობლებმაც არ ისურვეს მასთან ცხორება. ძაღლი ხუთჯერ გაექცა და ხუთჯერვე ძალით დააბრუნა, ეხვეწებოდა, ვერავინ მიტანს, შენ მაინც ნუ მიმატოვებო.



ძაღლს რომ პატრონზე უკეთესი სახელი ექნება, იმ ოჯახში რა მინდაო, უთხრა ძაღლმა და მაინც გაექცა.

## შრომით მოგვეკლა თავი

ერთი კაცი თავის ცხოვრებაზე დაფიქრდა და ცრემლი მოერია. ფიქრობდა, შვილები ისე წამომეზარდნენ, სასიკეთო ვერაფერი გავუკეთე; გათენდებოდა — დაღამებას ვუცდიდი, დაღამდებოდა და — გათენებას. ტახტზე კოტრიალით გვერდებიღა მტკივა. შვილების თვალწინ თავს მოვიკლავ და დაინახონ, როგორ მიყვარანო.

ხიდთან მივიდა და თავისი შვილები როცა გამოჩნდნენ, წყალში გადახტა.

— მამა!..... მამა!..... — აყვირდნენ შვილები.

— თქვენზე ფიქრით მოვიკალი, შვილებო თავი. — ამოსძახა მამამ.

ჩვენთვის შრომით რომ მოგეკლა თავი, ჩვენ ხეირში ვიქნებოდით და შენ კიდევ — ცოცხალიო, მიაძახეს მამას.

## თაფლიანი კოვზი

მეფუტკრემ კეთილი ნება გამოიჩინა და გამვლელ-გამომვლელს თაფლიან კოვზს ალოკვინებდა. ხალხი ისე მიეჩვია, თაფლიანი კოვზის გაულოკველად აღარც მიდიოდნენ და აღარც მოდიოდნენ.

მეფუტკრეს ფუტკარი გაუწყდა და ცრემლიანი ჩაჰყურებდა ცარიელ სკებს. გამვლელ-გამომვლელს თაფლიანი კოვზი რომ არ დახვდათ, სად არის ჩვენი თაფლიანი კოვზიო, იყვირეს და მეფუტკრეს ცემისგან ნეკნები ჩაუმტვრიეს.

ეგდო მეფუტკრე თავისი ცარიელი სკების წინ და წყალს ითხოვდა, მაგრამ მისი ხმა არავის ესმოდა.

## ცარიელი სკამები

ხმა გავრცელდა, სახელმწიფოში ყველა მეფეზე ჭკვიანია და ხელისუფლებაში ყველა — მეფეზე უტვინო, სადაც არის ქვეყანა თავზე დაგვექცევაო.

მეფემ ნაზირ-ვეზირები იხმო და უბრძანა, მირჩიეთ, თავი როგორ გადავირჩინოო.

— მივიღოთ ისეთი კანონი, რომ ჭკვიანები ქვეყნიდან გაიქცნენ და უტვინოებს მეფის ჩამოგდება აზრადაც არ მოუვათ. — ურჩიეს ნაზირ-ვეზირებმა.

— ჩემს გადარჩენაზე ფიქრობთ თუ საკუთარ თავზე? — იკითხა მეფემ.

— თქვენზე, მბრძანებელო, თქვენზე. — იყვირეს ნაზირ-ვეზირებმა.

— მე კი ვხედავ, რომ კანონებზე უკეთ დღეს ცარიელი სკამები დამიცავენო. — ბრძანა მეფემ და მოხელეები დაკვებული თანამდებობებიდან გაყარა.



# თურქეთი იარაღს გერმანიის ნაცვლად რუსეთისგან ყიდულობს

## ველოდოთ თუ არა რეგიონში ახალ ალიანსს?



გვესაუბრება ანალიტიკოსი ბრიგადის გენერალი **ამირან სალუქვაძე**

### რუსული წვრთნები ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ირგვლივ...

**„გამომწვევი ქმედებები რუსეთის მხრიდან და ძალის დემონსტრირება“ — ასე აფასებს საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი და ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე რუსეთის მიერ წარმოებულ წვრთნებს. როგორც ამირან სალუქვაძე „პირველ რადიოსთან“ აცხადებს, წვრთნების მასშტაბურობის მიუხედავად, ამ ეტაპზე ეს წვრთნები საომარი მოქმედებების დაწყების საფრთხეს არ წარმოადგენს.**

**ამ ეტაპზე ეს სწავლებები საფრთხეს არ წარმოადგენს, რომ ეს გადაიზრდება საბრძოლო მოქმედებებში, მაგრამ მთელ მსოფლიოში ასეთი მასშტაბური მანევრები განსაკუთრებით მეზობელი სახელმწიფოების საზღვრებთან ყოველთვის აღიქმება გამოწვევად, როგორც მინიმუმ გამაღიზიანებლად და, რა თქმა უნდა, ანალიზისა და დაფიქრების საბაბს იძლევა.**

**— ბატონო ამირან, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთთან C-400-ის შეძენის შესახებ შეთანხმება შედგა. ამასთან, ბერლინმა ანკარისთვის იარაღის მიწოდების შესახებ შეთანხმებების უმეტესობა შეაჩერა. თურქეთი — ნატოს წევრი სახელმწიფო — რუსეთისგან იარაღს ყიდულობს. ეს — იმ ფონზე, რომ ნატო-რუსეთს, რუსეთი კი ნატოს საფრთხედ ასახელებს. რაზე მიგვანიშნებს ეს ყველაფერი?**

— პროცესი, რომელზეც მკითხეთ, გაგრძელებაა იმისა, რაც ბოლო წლების განმავლობაში ხდებოდა. ბევრი რამ იცვლება მსოფლიოში, თურქეთი კი ხელწამოსაკრავი სახელმწიფო არ არის. თურქეთში მიმდინარე პროცესები ორ ნაწილად უნდა გავყოთ: სამხედრო გადატრიალების მცდელობამდელ და შემდგომ პერიოდად. გადატრიალების მცდელობამდე იყო თურქეთის მიერ რუსული „სუ 24“-ის ჩამოგდება და ურთიერთობის შემდგომი დაძაბვა. სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ რუსეთმა თურქეთს მოსალოდნელი სამხედრო გადატრიალების შესახებ ინფორმაცია 30 წუთით ადრე მიაწოდა, რითაც იხსნა ერდოღანი და სიტუაციაც კარდინალურად შეიცვალა. ამით ბევრი რამ აგრძნობინა პუტინმა ერდოღანს: იგი ფლობდა იმ ინფორმაციას, რომელიც არ ჰქონდა თავად თურქეთის ლიდერს და არც სხვა რომელიმე სახელმწიფოს (ხოლო თუ რომელიმე ფლობდა, თურქეთს არ მიაწოდა). და თუ ამ ტიპის ინფორმაციაზე მიგიწვდება ხელი, შესაბამისად, იმის შესაძლებლობაც გაქვს, სხვა სახის საფრთხე შეუქმნა კონკრეტულ სახელმწიფოს და მის ლიდერს. გავითვალისწინოთ ერდოღანის ტიპაჟიც. „სუ 24“-ის გამო მის მიერ ბოდიშის მოხდა, მოსკოვში რამდენჯერმე ჩასვლა, დაღუპული მფრინავის ოჯახთან შეხვედრა და ა.შ... — ეს მარტივი არ იქნებოდა. 20 წელია, ამ პოლიტიკოსის მოღვაწეობას ვადევნებთ თვალს და მისი მხრიდან მსგავსი ქმედება არ გვინახავს. პირიქით, მას დაძაბული ურთიერთობები აქვს დასავლეთის ლიდერებთან — გვახსოვს, როდესაც არჩევნების წინ ნიდერლანდებში არ ჩაუშვეს თურქეთის პრემიერ-მინისტრი, დაიძაბა ურთიერთობები გერმანიასთან, როდესაც მომლოცველებთან არ შეახვედრეს და ა.შ. ამასთან, ეს ყველაფერი უნდა დავუკავშიროთ სირიას, სადაც დღეს ე.წ. სირიაში ისლამური სახელმწიფოს ბოლო საყრდენის დეირ-ეზ-ზორის გათავისუფლება რუსეთის აქტიური მხარდაჭერით მიმდინარეობს, და რა თქმა უნდა, ქურთული მოძრაობის ირვლივ მიმდინარე პროცესებს. ქურთული მოძრაობის გაძლიერებას თურქეთი არა უბრალო გამოწვევად, არამედ საფრთხედ აღიქვამს. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეც კი ქურთებმა ცალკე სახელმწიფო რომ შექმნან, ამას პროცესების გაგრძელება თურქეთშიც მოჰყვება. ეს ახალი ამბავი არ არის. ქურთულ მოძრაობას საბჭოთა კავშირიც იყენებდა თურქეთის წინააღმდეგ, ახლა კი ამას აშშ აკეთებს. ამერიკის აღნიშნული მხარდაჭერა შესაძლოა, მართლაც უკავშირდებოდეს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებსაც, მაგრამ თურქეთის მხრიდან ეს ძალიან მტკივნეულად აღიქმება. ასე რომ, პროცესები დინამიკურად ვითარდება.

როგორც ადრე ვისაუბრეთ, თურქეთმა და რუსეთმა მოახერხეს წინააღმდეგობების დაძლევა და, როგორც მინიმუმ, რეგიონში საერთო ინტერესების შეთანხმება, მოახერხეს ემბარგოების ომის არა მხოლოდ შეწყვეტა, არამედ ორმხრივი სავაჭრო თუ სხვა ურთიერთობებისთვის ახალი ბიძგის მიცემა.

რაც შეეხება შეიარაღების შესყიდვას, „C-400“-ის დასავლური ანალოგების შეძენასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. განიხილებოდა ფრანგული და ა.შ. კონტრაქტები. ერდოღანმა მანამდეც გააკეთა განცხადება, თითქოს კონტრაქტთან დაკავშირებით რუსეთთან უკვე შეთანხმდა, თუმცა ამის შემდეგ ისევ გააქტიურდა დასავლური საზენიტო კომპლექსების შეძენის საკითხი. ვნახოთ, ამჯერად როგორ გაგრძელდება პროცესები. შესაძლოა, საკითხი ისევ გააქტიურდეს, შესაძლოა, ეს იყოს ევროპასთან გარკვეული ვაჭრობის თემაც. ეს ხომ მინიშნებაა, ისევე, როგორც ის, რაც თქვენს კითხვაში აღნიშნეთ: თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ამავდროულად მრავალმილიარდიან კონტრაქტს აფორმებს რუსეთთან. თუ სწორად მახსოვს, 2,5 მილიარდი დოლარი ჯდება ეს კონტრაქტი. სხვათა შორის, ეს უფრო იაფია, ვიდრე დასავლური ანალოგები და ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ერთია თანხა და მეორე — რა შედის მოცულობაში: რამდენი გამშვები დანადგარია, რამდენი რაკეტა, როგორი ხელშეკრულებაა მომსახურეობასთან დაკავშირებით, რამდენწლიანი გარანტიაა და ა.შ. ძალიან ბევრი დეტალია, რომელსაც კონტრაქტი შეიცავს და აქედან გამომდინარე დგება ღირებულება. როგორც მახსოვს, თურქეთს მოთხოვნა ჰქონდა, რომ C-400-ის კომპლექსის გარკვეული ნაწილი თურქეთში დამზადდეს. თურქეთი თვითონაც აწარმოებს საზენიტო კომპლექსებს. საქართველოც განიხილავდა თურქული სისტემების შესყიდვას და ერთ-ერთ ჩვენს მინისტრს ვურჩიე თავი შეეკავებინა, რადგან ეს არ იქნებოდა საუკეთესო არჩევანი. მოკლედ, თურქეთი არა მხოლოდ საჰაერო თავდაცვების სისტემის შეძენას, არამედ მისი ტექნოლოგიების თავისთან დანერგვასაც ცდილობს.

**— ბუნებრივია, მაგრამ აქ ხომ მნიშვნელოვანია პოლიტიკური მხარეც. ხომ არ გვაძლევს ეს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ რეგიონში ახალი ალიანსი და გეოპოლიტიკური რეალობა იქმნება?**

— რეალობა იცვლება როგორც ახლო, ისე შორეულ აღმოსავლეთში, ზოგადად მსოფლიოში ძალიან სერიოზული პროცესები მიმდინარეობს და, როგორც თავშივე აღვნიშნე, ჩვენც მეტად აქტიურები უნდა ვიყოთ საგარეო პოლიტიკაში.

უახლოეს პერიოდში თურქეთის ნატოდან გამოსვლას გამოვრიცხავ. 2-3 წელში ნატოდან თურქეთის გამოსვლის პერსპექტივას ვერ ვხედავ, ვერც იმისა, რომ აქ ახალი ალიანსი შეიკრას. აი, შემდეგ რა იქნება, იმდენად დინამიკური პროცესებია, რომ ამას ვერავინ განჭვრეტს. თითქოს ყველაფერი პროგნოზირებადია, აგერ, გაერომ რეზოლუცია მიიღო, მაგრამ ამის საპასუხოდ ჩრდილოეთ კორეაში რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ და რა მოხდება, არავინ იცის...

თავად იარაღის თემა სერიოზულია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ნატოს რომელიმე წევრი სახელმწიფო შეისყიდის იარაღს, სულაც არ ნიშნავს, რომ ის ნატოს წესდებასთან მოდის წინააღმდეგობაში. უამრავ სახელმწიფოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჯერ კიდევ შემორჩენილია დიდი რაოდენობით საბჭოთა ტექნიკა. მათ დიდ ნაწილს ჯერ კიდევ იყენებენ, მათ შორის — საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებსაც. ეს ამ სახელმწიფოებს ნატოს წევრობაში ხელს არ უშლის.

**— თურქეთ-რუსეთის დაახლოებას საქართველოში მუდმივად აღიქვამენ საფრთხედ. რამდენად გვაქვს ახლა შეშფოთების საფუძველი?**

— კი არ უნდა ვშფოთავდეთ, თურქეთთან ნორმალური ურთიერთობების გაგრძელება უნდა შევძლოთ. ხოლო იმაზე, რომ რუსეთთან დიალოგია საჭირო, ყოველთვის ვსაუბრობდი. როგორ შედგება იგი, რა ფორმატში, ვინ ვის შეხვდება, ვისი ჩართულობით, — ეს დეტალებია და სხვა თემაა. სულ ახლახან, პუტინის ჩინეთში ვიზიტის დროს რუსეთ-იაპონიას შორის 50-მდე ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, ანალოგიურად შარშანაც. იაპონია რუსეთში ძალიან სერიოზულ პროექტებს ახორციელებს. ბევრი ამბობს, რომ ეს სხვა რეალობაა, იაპონია ძლიერია და ასე შემდეგო. სწორედაც რომ ძლიერია და დიალოგს აწარმოებს. გასაგებია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, რუსეთთან ომში და პრობლემებში ვართ, ცხელია ეს ნაკვალევი და ნაბიჯებიც რთული გადასადგმელია, მით უფრო, როდესაც ჩვენი პოლიტიკური ელიტა საგარეო პოლიტიკისა და ოკუპაციის თემის შიდა პოლიტიკური ბრძოლის დღის წესრიგიდან გატანას ვერ ახერხებს. გუშინ რამდენიმე ბალტიისპირელმა პოლიტიკოსმა პირდაპირი ტექსტით გვითხრა: „სახლს გარეთ თქვენ უნდა იყოთ ერთიანები, შიგნით კი ებრძოლეთ ერთმანეთსო“. დიდი ხანია, ამაზე ვსაუბრობ. საერთაშორისო არენაზე ყველა საკითხში ერთიანები უნდა ვიყოთ, ქვეყნის შიგნით კი ვიდავოთ კორუფციაზე, სოციალურ პრობლემებზე და ა.შ.

**— უკრაინას კიდევ სხვა პრობლემები აქვს, შიდა რყევები...თქვენ რუსეთთან დიალოგი ახსენეთ, ფორმატი გვაქვს, მაგრამ შედეგები?**

— ეს არ არის დიალოგი, ეს უბრალოდ დიპლომატიური არხებია. სულ სხვაა სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებები და დიალოგის ფართო ფორმატი, რომლის დროსაც, გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია, დეოკუპაციის თემა გარკვეული დროით გვერდზე გადაიდოს, დაიწყოს ურთიერთობების დალაგება, რომელმაც, თავის მხრივ, დეოკუპაციამდე უნდა მიგვიყვანოს. არავინ ამბობს, რომ ეს მარტივია, პირიქით — რთულია, მაგრამ დასაწყებია. რა თქმა უნდა ამ პროცესში დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერის გარეშე წარმატება შეუძლებელი იქნება, მაგრამ ჩვენ თუ არ ვიაქტიურეთ, არაფერი შეიცვლება. ვიმეორებ, დიალოგი როგორც მინიმუმ მშვიდობის შენარჩუნებას, ახალი კონფრონტაციის თავიდან აცილებას და დროის მოგებას ნიშნავს, რაც თავის მხრივ სახელმწიფოს, მისი ეკონომიკის და უსაფრთხოების სისტემის განმტკიცებას ემსახურება.

**— არსებულ რეალობაში ეს როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ისევე, როგორც ნატოს წევრი თურქეთი ახერხებს „C-400“-ის ყიდვას. ვკითხოთ ერდოღანს, რატომ აკეთებს ამას? სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. მას, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, უამრავი გამოწვევა და საფრთხე აქვს, როგორც შიგნით, ისე გარეთ — ვხედავთ რეგიონში რაც ხდება. არ ვამბობ, ახლავე ავიღოთ ყურმილი და პუტინს დავურეკოთ. უბრალოდ სალაპარაკოა. ამ საკითხებზე მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა და საექსპერტო საზოგადოებამ უნდა იმსჯელოს.

ახლახან სომხურ მედიაში აჟიოტაჟი ატყდა, საქართველომ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა რაღაც დოკუმენტს მოაწერეს ხელი და ალიანსი იკვრება ირან-სომხეთ-რუსეთის კოალიციის წინააღმდეგო. საქართველო არავის წინააღმდეგ არაფერს არ ქმნის და მისი პოლიტიკა არც ერთი მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ არაა მიმართული. ამავე დროს, კარგია, რომ თურქეთთან მიმართებაში ასეთი აქტიური პოლიტიკა აქვს საქართველოს ხელისუფლებას და ასეც უნდა გაგრძელდეს. იგივე დონის აქტივობები რუსეთთან, რა თქმა უნდა, ვერ გვექნება. უბრალოდ ვამბობ, რომ გამოსაცოცხლებელია პროცესები. მე ვგულიხმობ აქტიურ დიპლომატიას და არა დათმობებს. თუმცა, კითხვას სწორად სვამთ, დღევანდელ რეალობაში ეს ალბათ შეუძლებელია.

ისევ თურქეთით რომ დავასრულოთ, როგორც ინფორმაციები ვრცელდება, თურქეთმა C-400-ის კონტრაქტის თანახმად უკვე ავანსის გადარიცხვა განახორციელა.

**დიანა მუსელიანი**

# არ გვაქვს უფლება ცუდად ყოფნისა!

## ნოდარ ტაბიძის გასახსენებლად

**დავწერე სათაური და გამეღიმა.**

დავწერე ქვესათაური და შევიჭმუხნე — ეს ხომ მკრეხელობაა: რა სჭირს ნოდარ ტაბიძეს გასახსენებელი?!

ერთი წლის შემდეგ კი არა, ათასი წლის შემდეგაც გაიხსენებენ.

დიახ, გაიხსენებენ — არა მხოლოდ წიგნებით (გალაკტიონოლოგია, ჟურნალისტიკის თეორია, ესეები, ეტიუდები...), არამედ ფრთიანი გამოთქმებითაც.

„— როგორ ბრძანდებით, ბატონო ნოდარ?

— არ მაქვს უფლება ცუდად ყოფნისა!“

საიუბილეო სტატია სპარტაკ ქობულიამ ასეთი სათაურით მიუძღვნა: „გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ“...

ბუნებრივია, გალაკტიონს დაესესხა — დიდი მაესტროს გენიალურ ბიძას.

სტატიაც შესანიშნავი იყო და სათაურიც, თუმცა, ჩვენი სათაყვანებელი მოძღვარი უკვე დაღლილი იყო, დაღლილი, უწინარესად, უსამართლობითა და უმადურობით.



პროფესორი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის მსგავსი პატიოსნებით ემსახურა, ალმა მატერს ისე ჩამოაშორეს, რომ ერთი სამადლობელი სიტყვაც არ უთქვამთ.

უთხრეს, განცხადება დაწერე, ლომაიას მივართმევთ და ჩაერევაო.

არ დაწერა!

უდრტვინველად აიტანა შეურაცხყოფა.

თუმცა, გამოუთქმელმა სევდამ და ტკივილმა მაინც თავისი ქნა...

დაღლილი ნოდარ ტაბიძე გვინახავს, ჩემო სპარტაკ, როგორ არ გვინახავს, მაგრამ გატეხილი ნოდარ ტაბიძე?! — არასოდეს!

უკვე რამდენჯერმე ვახსენე სიტყვა „მოძღვარი.“

ერთხელ დავწერე და ამ ფრაზებს ვერავის დავუთმობ (თუმცა არაერთმა სხვების მიმართ გაიმეორა):

„ლექტორი ბევრია, მოძღვარი — ცოტა. ნოდარ ტაბიძე მოძღვარია.“

თანაც კი არ იყო, არის!

სულ იქნება!

სულ როგორ იქნება?

ძალიან უბრალოდ: მოწაფეებისგან მოწაფეებს გადაეცემათ მისი პიროვნების, მისეული მეთოდის ამბავი!

რატომ იყო მოძღვარი?

ამჯერად, მხოლოდ ერთი საბუთი (მისი ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფის თამარ ახალაიას სტატიიდან):

1989 წლის 25 თებერვალს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ შეკრებილ მომიტინგეებს სპეცდანიშნულების რაზმმა ალყა შემოგვარტყა. წრე ნელნელა ვიწროვდებოდა. პანიკა იზრდებოდა. უეცრად, მე და ჩემმა მეგობარმა მხრებზე ხელები ვიგრძენით, უკან მივიხედეთ და... თავს ბატონი ნოდარი წამოგვდგომია და გვამხნევებს: „ხომ მყარად გრძნობთ თავს, გოგონებო?“ მაშინ დავაფიქსირეთ მისი პოზიცია ეროვნული მოძრაობის მიმართ.“

ამ პოზიციის გამო, მალე „ზემოთ“ დაიბარებენ და მკაცრად გააფრთხილებენ: „თუ არ მოიშლით სტუდენტებისთვის გონების არევას“...

არადა, მთელი არსებით, სტუდენტების გონების წვრთნას ემსახურებოდა.

როცა უნივერსიტეტიდან გაუშვეს, ერთ-ერთ მის გავლენიან კოლეგას ვკითხე: რა ხდება, ბატონო რ....?!

პასუხი: ჩვეულებრივი ამბავია — ბრძოლა ავტორიტეტების წინააღმდეგ.

კინაღამ ვკითხე, კი მაგრამ თქვენც ხომ ავტორიტეტი ხართ და რატომ არ გებრძვიან-მეთქი.

არ ვკითხე, რადგან უმალვე გავიაზრე, რომ ნოდარ ტაბიძე ნამდვილი ავტორიტეტი იყო და არა, მის მსგავსად, ზემოდან, KGბ-სგან შექმნილი.

ამიტომაც იყო მოძღვარი!

და სულ იქნება.

ჩვენ კი, მისი გაზრდილები, ერთმანეთს ხშირად შევახსენებთ და მომავალ თაობებსაც გადავცემთ ჭირთა თმენის მისეულ ფორმულას: „არ მაქვს უფლება ცუდად ყოფნისა!“

**იოსებ ჭუმბურიძე**

# „თბილისობა 2017“ მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება

„თბილისობა 2017“-ის ფარგლებში, წელს მასშტაბური ღონისძიებები გაიმართება“ — ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მთავრობის სხდომაზე ისაუბრა. მისი თქმით, წლევანდელი დღესასწაულის მთავარი ლოკაციები „ახალი ტფილისი“, რიყე და ლეღვთახევი იქნება. **„მოგეხსენებათ, თბილისობა წელს 7-8 ოქტომბერს გაიმართება. დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის მერიაში შექმნილია დედაქალაქის მთავრობის წევრებისგან დაკომპლექტებული კომისია, რომელიც ღონისძიების სრულყოფილად და შეუფერხებლად ჩატარებას უზრუნველყოფს. დღესასწაული წელსაც მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება და იგი მთელ ქალაქს მოიცავს“** — განაცხადა დავით ნარმანიამ.



„თბილისობა 2017“-ის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, საბავშვო გასართობი და შემეცნებითი აქტივობები, კულინარიული გამოფენა-გაყიდვები, სასოფლო-სამეურნეო ბაზრობები და სხვ. ყოველწლიურ საშემოდგომო დღესასწაულზე ყველა თაობის წარმომადგენელი მისთვის საინტერესო ღონისძიებაზე დასწრებას შეძლებს.

## ⊙ გამოფენა

# ჩვენი გოგია, კატის კნუტი და... „ვეფხისტყაოსანი“

**მხატვრების უმეტესობა, როგორც წესი, სიცოცხლეში დაუფასებელნი არიან, კრიტიკოსები ხშირად ერიდებიან მათ ქებასა და ეპითეტებით შემკობას — აქაოდა მხატვრის შემოქმედება მისი გარდაცვალების შემდეგ ფასდებაო. ამგვარი ბედი დაჰყვა ჩვენს ამქვეყნიდან უდროოდ წასულ მეგობარს გოგი მერმანიშვილსაც. მეგობრებს ერთი გამორჩეული თიკუნით ვამკობთ, რომელიც ბავშვობიდან სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვებათ ხოლმე,. გოგი მერმანიშვილი „გულიანი“ გახლდათ, იმიტომ რომ გამორჩეულად ასეთი ბიჭი იყო. ამ ერთი წლის წინათ გამოგვეცალა ხელიდან, როცა ნახევარ საუკუნეს სულ წლინახევრით იყო გადაცილებული.**



გოგი იმითაც იყო გამორჩეული, რომ საკუთარ სახლში თითო-ოროლა ტილოს თუ ინახავდა — ყველა მეგობრებზე ჰქონდა გაჩუქებული, რომლებიც ულევი ჰყავდა. როგორც თბილისელს, ბოჰემურ ცხოვრებას შეჩვეული, ყველასაგან გამორჩეულ კაცს სხვადასხვა ხასიათის, პროფესიისა და მიდრეკილების ადამიანებთან არ უძნელდებოდა საერთო ენის გამონახვა. ჰოდა, მისი ნახატებიც მთელ თბილისში და საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაა გაფანტული. თბილისის ისტორიის მუზეუმში, ძველთბილისურად კვლავაც „ქარვასლად“ რომ მოვიხსენიებთ, 14 სექტემბერს გოგი მერმანიშვილის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო, რომელიც ათ დღეს გასტანს. წარმოდგენილი ნახატების უმეტესობა, სწორედ მეგობართა და ახლობელთა კერძო კოლექციებიდანაა.

ვაჟკაცური, სამართლიანი, უაღრესად გულისხმიერი, ფაქიზი სულის ადამიანის განცდები ნათლად ჩანს მის გრაფიკულ თუ სხვადასხვა ტექნიკით შესრულებულ ნამუშევრებში. პორტრეტები, ნატურმორტები, აბსტრაქცია, ესკიზები ნათლად გადმოსცემს მხატვრულ პროფესიონალიზმსა და საკუთარი სტილის დამკვიდრების მცდელობას.

— ჩემი წინაპრები მეომრები იყვნენო, — იცოდა თქმა. სამშობლოს სიყვარულმა მთელი საქართველო ფეხით შემოატარა, არ არსებობდა კუთხე, მთაში შეყუჟული ეკლესიებისა თუ ციხეთა ნაგებობები, რომ არ მიახლებოდა. ეამაყებოდა კიდეც ზედმიწევნით რომ იცოდა სამშობლოს ისტორია. ავბედით 90-იან წლებში, როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას საფრთხე შეექმნა, გოგიმ დაუფიქრებლად გასწია ომში, იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში. რამდენჯერმე დაიჭრა კიდეც, მაგრამ კვლავ ბრძოლის გზაზე მიდიოდა და ჯერ კიდევ მოუშუშებელი იარებით ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა სოხუმი. თბილისში ჩამოიტანა გაბზარული გული, შერყეული ჯანმრთელობა, დაღუპულ მეგობრებზე და დაკარგულ მიწა-წყალზე მოუშუშებელი სევდა და ერთ-ერთი ბრძოლის დროს ალმოდებული სახლიდან, სადაც თავს აფარებდნენ, წამოღებული ნახევრადდამწვარი „ვეფხისტყაოსანი“ და... პატარა კატის კნუტი.

ასეთი სპეტაკი სულის კაცი იყო გოგი მერმანიშვილი... მის შემოქმედებას მეუღლემ, ქალბატონმა **რუსუდან შონიამ** უპატრონა, გაბნეული ნახატები შეაგროვა და „ქარვასლის“ შესანიშნავ დარბაზში გამოფინა. დიდი მადლობა რუსუდანს და ამ გამოფენისადმი გამოცემული შესანიშნავი ბუკლეტის ავტორებს **ქეთი ტრაპაიძესა** და **ლიკა მამაცაშვილს**. ასევე ვერნისაჟის ორგანიზატორებს და მათ, ვინც საშუალება მისცეს თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს, გაცნობოდნენ ამ უნიჭიერესი მხატვრის შემოქმედებას. მნახველები კი მართლაც მრავლად იყვნენ.

**ოთარ ტურაბელიძე, მამუკა ვაშაკიძე**



„ავტოპორტრეტი“



„თევზი — აბსტრაქცია“



„მინდვრის ყვავილები“

ჭადრაკი

# მეოთხე ბარიერი ვერ გადალახა



**თბილისში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშება, რომლის საპრიზო ფონდია მილიონ 600.000 დოლარი. გამარჯვებული 120.000-ით დაჯილდოვდება, ხოლო ფინალში დამარცხებულს 80.000 დოლარი გადაეცემა. მთავარი პრიზისთვის პაექრობაში ყველა კონტინენტის 128 წარმომადგენელი მონაწილეობდა ნოკაუტ-სისტემით. ასპარეზობას დღეისთვის რვა დიდოსტატი შემორჩა.**

ტურნირში ოთხი ქართველი მოჭადრაკეც ჩაება. სამი მათგანი სტარტზევე გამოეთიშა შეჯიბრებას. 2017 წლის ევროპის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე ქართველების ნიდერლანდელ სიძე ანიშ გირთან (დიდოსტატ სოფიკო გურამიშვილის მეუღლეა) დამარცხდა – 0.5:1.5; ლევან ფანცულაიამ პოლონელ იანკშიშტოფ დუდასთან წააგო – 0:2, მიხეილ მჭედლიშვილი კი რუს ერნესტო ინარკიევთან ვერაფერს გახდა – 0.5:1.5.

შესანიშნავად ითამაშა ქართველ მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერმა, ევროპის ჩემპიონატების ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელმა ბაადურ ჯობავამ (რეიტინგი 2702), რომელმაც პირველ წრეში ესპანელი ივან სალგადო ლოპესი ჩამოიშორა გზიდან – 4.5:3.5, მერე მის გზას გაუყენა ჩინელი იუ იანი – 4:2, მესამე წრეში რუსეთისა და ევროპის 2010 წლის ჩემპიონ იან ნეპომნიაშჩის სძლია – 2.5:1.5 და მე-4 რაუნდში მსოფლიო კლასიფიკაციით მერვე ადგილზე მყოფ ვესლი სოს (აშშ, 2792) დაუპირისპირდა. მათი ორივე კლასიკური პარტია ყაიმით დასრულდა და უძლიერესის გამოსავლენად ტაი-ბრეიკი დაინიშნა. პირველი 25-წუთიანი შეხვედრა თეთრებით სომ 66-ე სვლაზე მოიგო, მეორეში 41-ე სვლაზე დაუზავდა ქართველ მეტოქეს, მინი-მატჩში გაიმარჯვა 2.5:1.5 და მეოთხედფინალში გავიდა, ჯობავა კი თასის გათამაშებას თავაწეული გამოეთიშა.

**დანარჩენი მერვედფინალური მატჩები ასე დამთავრდა:** პიოტრ სვიდლერი (რუსეთი, 2756)-ბუ სიანჭი (ჩინეთი, 2714) 3:1, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2804)-ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2788) 3.5:2.5, რიჩარდ რაპორტი (უნგრეთი, 2675)-ევგენი ნაიერი (რუსეთი, 2694) 2.5:1.5, მაქსიმ როდშტეინი (ისრაელი, 2695)-ვლადიმირ ფედოსეევი (რუსეთი, 2731) 1:3. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2727)-ანიშ გირი (ჰოლანდია, 2777) 1.5:0.5, დანიილ დუბოვი (რუსეთი, 2666)-ლევონ არონიანი (სომხეთი, 2802) 0.5:1.5, დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2771)-ვან ჩაო (ჩინეთი, 2701) 1.5:0.5.

**მეოთხედფინალში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:** სვიდლერი-ვაშიე-ლაგრავი, ივანჩუკი-არონიანი, სოფედოსეევი, რაპორტი-დინ ლიჟენი.

საგულისხმოა, რომ მსოფლიოს თასის გათამასებაში პირველად მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია), რომელიც მესამე წრეში ბუ სიანჭთან დამარცხდა, ვასილი ივანჩუკმა მთავარი პრიზისთვის ბრძოლას ჯერ ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი), შემდეგ ანიშ გირი ჩამოაშორა, სომეხმა ლევონ არონიანმა ტაი-ბრეიკში აჯობა ქალთა შორის სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (ჩინეთი). მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვიშვანათან ანანდმა (ინდოეთი) მეორე რაუნდის ორთაბრძოლა დათმო ახალგაზრდა კანადელ ანტონ კოვალიოვთან, რომელიც ასპარეზობის ორგანიზატორებმა დრესკოდის დარღვევის გამო (ტურნირზე შორტით გამოცხადდა) მესამე წრეში სათამაშოდ არ დაუშვეს, მან კი პროტესტის ნიშნად ტურნირი დატოვა.

**ლექსო ცინცაძე**

წყალბურთი

# ათეულში ადგილი დაიბევეს

**ახალგაზრდა წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელსაც მალტა მასპინძლობს, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. შეჯიბრებაში 16 გუნდი მონაწილეობს.** ისინი თავიდან წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ. საქართველოს ნაკრები (ბარაბაძე, ცხაკაია, დიასამიძე, სამყურაშვილი, მემანიშვილი, ხოხაშვილი, დვალი, კუჭუაშვილი, იმნაიშვილი, ჭეიშვილი, ხვინგია, ქათამაძე, ქარჩავა, მთავარი მწვრთნელი რევაზ ჩომახიძე) პირველ ტურში სერბებთან დამარცხდა – 2:13, მერე დაძაბულ ბრძოლაში დათმო პაექრობა საფრანგეთთან – 9:10, გადამწყვეტ შეხვედრაში მალტას სძლია 15:9 და მერვედფინალში გავიდა - 12 უძლიერეს გუნდს შორის მოხვდა. პლეი-ოფის პირველი მატჩი ჩვენებმა უნგრელებთან წააგეს 7:21. ამის შემდეგ ჩომახიძის შეგირდებმა IX-XII ადგილებისთვის ბრძოლაში თურქები დაჯაბნეს - 14:7 (4:1, 2:4, 6:1, 2:1). გუშინ ჩვენებმა დაისვენეს, დღეს კი IX-X ადგილებისთვის საფრანგეთს დაუპირისპირდებიან. ამ უკანასკნელმა რუმინეთს აჯობა – 12:11. ქართველებმა სამფეროვნებთან მე-2 ტურში მარცხისთვის სარევანშოდაც უნდა იბრძოლონ.

**ჩემპიონატზე მეოთხედფინალური პაექრობები ასე დასრულდა:** უნგრეთი-საბერძნეთი 9:4, მონტენეგრო-იტალია 10:9, ესპანეთი-სერბეთი 11:8, ხორვატეთი-რუსეთი 11:12.

**გივი გაგუა**



საფრთხე

# რუსეთს + დოპინგი = სკანდალს




**თექვსმეტი ქვეყნის ანტიდოპინგური სააგენტო 2018 წლის პიონგჩანგის ოლიმპიური თამაშებიდან რუსეთის მოკვეთას ითხოვს.**

დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი სტრუქტურები მიიჩნევენ, რომ რუსეთის მონაწილეობა სამხრეთ კორეაში დაგეგმილ ზამთრის ოლიმპიადაზე სუფთა თამაშის წესს ეჭვქვეშ დააყენებს, მათი აზრით კი ამისთვის რუსეთის ნაკრები უნდა დაისაჯოს.

**ცნობისთვის:** ზამთრის ოლიმპიური თამაშები პიონგჩანგში 2018 წლის 9-25 თებერვალს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ დოპინგსკანდალის გამო რუსი პარასპორტსმენები რიოს 2016 წლის პარალიმპური თამაშებიდან მოხსნეს.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# იგორის არია

**ჩვენ ჯერაც ვერ მოგვინელებია ევრობასკეტის ჯგუფური რაუნდის ფინიშზე იტალიელებთან დასანანი მარცხი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა სერბმა თავკაცმა იგორ კოკოშკოვმა კი კარიერის მწვერვალს უწია და ხვალ მისი გაწვრთნილი სლოვენიის გუნდი კონტინენტური ფორუმის დასკვნით აკორდს ფავორიტის რანგში ხვდება.**




ბალკანელები და ესპანელები ნახევარფინალამდე უდანაკარგოდ მოვიდნენ, ამიტომ მათი დაპირისპირება საფუძვლიანად მოინათლა ნაადრევ ფინალად.

ბუნებრივია, ორივეს საკუთარი კოზირები გამოარჩევდა, რის გამოც სტამბოლში გამართული მატჩი ჩვენი კეთილი ნაცნობისა და მისი პირენეელი კოლეგის სერხიო სკარიოლოს ტაქტიკურ დუელადაც იქცა.

ალბათ, სიმბოლურიცაა, დრაგიჩის, დონჩიჩის, პრეპელიჩისა და ვიდმარის ახალგაზრდა და ძმები გასოლების, ნავაროსა და როდრიგესის ძველი გვარდიების ჯახი მომავლის ტრიუმფით რომ დაგვირგვინდა – 92:72(!), თანაც საოცარი ალმაფრენით მოთამაშე ექსიუგებმა მრისხანე მეტოქე არამარტო საკუთარი ღირსებით – სამქულიანებით დააჩოქეს (14:7), არამედ არც მათსავე იარაღში – ფარქვეშ ბრძოლაში დაუდეს ტოლი (35-35 მოხსნა).

ამრიგად, აწ უკვე ევროპის ექს-ჩემპიონის – ესპანეთის ოქროს თაობა, „ჯვაროსნებისა“ არ იყოს, ალბათ, თანდათან დატოვებს ეროვნულ ნაკრებს, კონტინენტს კი ხვალ უკვე ახალი გვირგვინოსანი ეყოლება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# ევროპალიგაც დაიწყო



**ევროპალიგაზე წლეულს ოთხი ქართველი ლეგიონერის კლუბები ჩაებნენ. მათგან არ უთამაშია ტრავმირებულ ვაკო გვილიას (ბატე), საბა კვირკველიას „ლოკომოტივმა“ ქულა მოიპოვა, ხოლო გურამ კაშიას „ვიტესი“ და ჯაბა ჯიღაურის „ვარდარი“ დამარცხდნენ.**

პირველი ტურის შეხვედრების შედეგები ასეთია:

**„ა“ ჯგუფი.** „ვილიარეალი“ – „ასტანა“ 3:1, „სლავია“ – „მაკაბი“ 1:0.

**„ბ“ ჯგუფი.** „დინამო“ (კიევი) – „შკენდერბეუ“ 3:1, „იანგ ბოიზი“ – „პარტიზანი“ 1:1.

**„გ“ ჯგუფი.** „ჰოფენჰაიმი“ – „ბრაგა“ 1:2, „ბაშაქშეჰირი“ – „ლუდოგორეცი“ 0:0.

**„დ“ ჯგუფი.** „აუსტრია“ – „მილანი“ 1:5, „რიეკა“ – აეკ 1:2.

**„ე“ ჯგუფი.** „ატალანტა“ – „ევერტონი“ 3:0, „აპოლონი“ – „ლიონი“ 1:1.

**„ვ“ ჯგუფი.** „კოპენჰაგენი“ – „ლოკომოტივი“ 0:0, „ზლინი“ – „შერიფი“ 0:0.

**„ზ“ ჯგუფი.** „სტიაუა“ – „პლზენი“ 3:0, „ბერშევა“ – „ლუგანო“ 2:1.

**„თ“ ჯგუფი.** „არსენალი“ – „კიოლნი“ 3:1, „ცრვენა ზვეზდა“ – ბატე 1:1.

**„ი“ ჯგუფი.** „მარსელი“ – „ქონიასფორი“ 1:0, „გიმარაეში“ – „ზალცბურგი“ 1:1.

**„კ“ ჯგუფი.** „ჰერტა“ – „ბილბაო “ 0:0, „ზორია“ – „ოსტერსუნდი“ 0:2.

**„ლ“ ჯგუფი.** „ვიტესი“ – „ლაციო“ 2:3, „ვარეგემი“ – „ნიცა“ 1:5.

**„მ“ ჯგუფი.** „სოსიედადი“ – „რუსენბორგი“ 4:0, „ვარდარი“ – „ზენიტი“ 0:5.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ვისაც როგორ შეუძლია...



**ბევრი ხეტიალისა და ვაგლახის შემდეგ ერთ დღესაც ჩვენი მოგონება იტალიის ქალაქ ნეაპოლს მიადგა. დაივლიდი ქალაქის ქუჩებს და გაოგნდებოდი, რადგან ერთ ფულიან ადამიანსაც კი ვერსად ნახავდი. მთელი „ძელეცობა“ ნეაპოლის განაპირას მდებარე საპოდიუმე სახლში გაკრეფილიყო, სადაც ასული, ვინმე მარიკა ფრუშო ფულიანი ბიძებისათვის საზეიმო მიღებას და ვახშამს მართავდა.**

ტუსოვკიდან შემოსული თანხები მკერდდალოცვილ მოდელს მთლიანად მისი საყვარელი საფეხბურთო კლუბისთვის – „ნაპოლისთვის“ უნდა გადაეცა და მიუხედავად იმისა, რომ ნეაპოლურ კლუბს ფინანსურად არც ისე უჭირს, როგორც ბევრს ჰგონია, საყვარელი კლუბისთვის სიკეთის კეთების სურვილი იმდენად დიდი იყო, მკერდდიად მარიკას, აბა, ვინ შეეწინააღმდეგებოდა?..

საბოლოო ჯამში მარიკა ფრუშომ ამ ერთგვარ საქველმოქმედო ღონისძიებაზე საკმაოდ კარგი თანხა (როგორც იძახიან, 120 ათას ევროზე მეტი) ააგროვა და „ნაპოლის“ მესვეურებს გადასცა, „უფასო ფულზე“ უარის თქმა კი, მოგეხსენებათ, რთულია...

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | ობიექტი № 1 | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნორიო, რუსთაველის ქ. N7, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 15000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნორიო, რუსთაველის ქ. N7. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 485 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 48,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 443 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | ობიექტი № 2 | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ ზუგდიდი, კოსტავას ქ. N148, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, კოსტავას ქ. N148 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 216 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | ობიექტი № 3 | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა. |

| | | |
|---|---|---|
| | | ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქ. N25, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 6000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქ. N25 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 194 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 19,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 297 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი |
| | | ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭითაწყარის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭითაწყარის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი | 216 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი |
| | | უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N202, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N202 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 216 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 |

| | | |
|---|---|---|
| | | ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 33**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა-მოწესრიგება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>ჲ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანანურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ანანურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 59 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე | 5,9 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | (საწყისი ფასის 10 %) | |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 230 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 34** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; |
| | | დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ გორში, სტალინის გამზირის დასაწყისის მიმდებარე ტერიტორიაზე. მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3650 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი გორი, სტალინის გამზირის დასაწყისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 92 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 9,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 246 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 35** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით |
| | | დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხრანის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხრანის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 259 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 36** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; |

| | | |
|---|---|---|
| | | გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატახტარის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 36 500 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატახტარის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 612 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 61,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 506 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 37** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი მცხეთა, არმაზი, ნაკრძალის ქუჩა N7, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 095 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი მცხეთა, არმაზი, ნაკრძალის ქუჩა N7 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 218 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 38** | |
| | უნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვა და დასუფთავება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 69 350 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 697 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 69,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) | 549 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 39** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის |
| | | ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ყვარელი, „საქათმეები"-ს ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 36 500 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ყვარელი, „საქათმეები"-ს ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 180 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 118 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 790 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 40** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 423 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შედგენილობაზე;<br>თ) მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიის მიღებიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, უზრუნველყოს წყლის მარაგების გამოთვლა და მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სანიტარული ზონების დაცვა;<br>კ) ლიცენზიის მფლობელმა ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჭაბურღილი) მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და |
| | | შემოღობვა.<br>მ) ჭაბურღილიდან უნდა აღიკვეთოს წყლის უმიზნოდ დაღვრა;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ".<br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალუბნის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (ჩამოსხმის მიზნით და სხვა სამეწარმეო დანიშნულებით კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა 6000 მ³/წელიწადში აქედან: ჩამოსხმის მიზნით - 4000 მ³/წელიწადში და სხვა სამეწარმეო დანიშნულებით - 2000 მ³/წელიწადში ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალუბნის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 80 350 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 8 035 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 40 375 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დღესასწაული

# ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის „შეუწველი მაყვალის“ დღესასწაული



**17 სექტემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის „შეუწველი მაყვალის“ ხსენებას.**

...ცნობილია, რომ მარიამ ღვთისმშობელ ქალწულს ხშირად უწოდებენ „შეუწველ მაყვალს“. მოსე წინასწარმეტყველმა ქალწული ღვთისმშობლის სახე იხილა მაყვალში, რომელიც ენთო და არ იწვოდა. მას გამოსახავენ ცეცხლოვანი ნათლით განათებულს.

მაყვალი ანთია და არ იწვის!

ქალწული მარიამი შობს და ქალწულადვე რჩება!

ხატი – „შეუწველი მაყვალი“ – რვაქიმიანი ვარსკვლავის სახითაა გამოხატული, რომელიც ორი წვერწამახვილებული ოთხკუთხედისაგან შედგება. მათგან ერთი ოთხკუთხედი წითელი ფერისაა, რომელიც მოგვაგონებს იმ ცეცხლს, მოსეს მიერ ხილული მაყვალი რომ მოიცვა, და, რომელშიც ის ალით გარშემორტყმული დაუწველი დარჩა...

აღსანიშნავია, რომ ხატის „შეუწველი მაყვალის“ განსაკუთრებული ხელნაწერი კანონი არსებობს. ამ კანონის დასაწყისში ასეთი წარწერაა: „ეს საგალობელი იგალობება მაშინ, როცა ჭექა-ქუხილი საშიში ხდება ან როცა ვინმე მოისურვებს, იგალობოს“.

საგულისხმოა ისიც, რომ XVII-XVIII საუკუნეებში „შეუწველი მაყვალის“ სახელზე მრავალი ხატია დაწერილი. ხატებზე ოთხი მახარებლის მონათხრობზე მიუთითებს წითელი ოთხკუთხედის კუთხეებში გამოსახული – ადამიანი, ლომი, ზვარაკი და არწივი.

**გიული ლიპარტია**

ხსოვნა

## კიმი ბუჯიაშვილი



**17 სექტემბერს მარადისობას, ქართული ზეცის საფირონს შესანიშნავი ქართველის, ყოფილი საქპურტრესტის მმართველის კიმ ბუჯიაშვილის სული შეუერთდა.**

**ჩვენ მისი ახლობლები და თანამშრომლები ქრისტიანული წესით გავიხსენებთ მის შეუბღალავად და ლამაზად განვლილ ცხოვრებას, კეთილ საქმეებს. მისი ცხოვრება განმსჭვალული იყო ქვეყნის სიყვარულითა და ადამიანური სიკეთით.**

**ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.**

**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი.**

# ავტოსაგზაო შემთხვევა ოკამთან

**ავტოსაგზაო შემთხვევა სოფელ ოკამთან – ცენტრალურ მაგისტრალზე ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა და ამოყირავდა. დაშავებულია ერთი მამაკაცი, თუმცა მას სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის არ მიუმართავს.**

მძღოლის გამოყვანა კი მანქანიდან საპატრულო პოლიციამ და სხვა ავტომობილების მგზავრებმა შეძლეს.

ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი, სავარაუდოდ, სისწრაფის გადაჭარბებაა.

# პეკინის გამზირი თითით საჩვენებელი იქნება!



**პეკინის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულების სტადიაზეა, უახლოეს დღეებში დასრულდება ტროტუარების მოპირკეთება, რის შემდეგაც ქუჩა როგორც ავტოტრანსპორტისთვის, ასევე ფეხით მოსიარულეთათვის სრულად გაიხსნება. – ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ გამართულ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მერმა პეკინის ქუჩაზე ჩატარებული სამუშაოები შეაჯამა და მოსახლეობას გამოჩენილი მოთმინებისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.**

„უახლოეს დღეებში თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახური დახაზავს ქვეითთა გადასასვლელებს. ასევე დაიდგმება სკამები და მივიღებთ კეთილმოწყობილ გამზირს, რომელიც თითით საჩვენებელი იქნება“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

რაც შეეხება პეკინის ქუჩის გაცალმხრივებას, როგორც დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომის მიმდინარეობისას აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სახის არსებითი დაბრკოლებები არ იქნება, მოძრაობა ცალმხრივი დარჩება.

**საქმე №1/51-2017**

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 13 სექტემბერი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ბექან თოდუა, ნუგზარ ნაჭყებია**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 27 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ბექან თოდუასა და ნუგზარ ნაჭყებიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 1 მაისს შპს „ნოვა კრედიტსა” და ბექან თოდუას შორის დაიდო №051311794 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1500 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 1 ნოემბერი.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

2013 წლის 1 მაისს შპს „ნოვა კრედიტსა” და ნუგზარ ნაჭყებიას შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრუელბა.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმადაც მოპასუხე ნუგზარ ნაჭყებიას აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნუგზარ ნაჭყებიას სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ნუგზარ ნაჭყებიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ნუგზარ ნაჭყებია ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ნუგზარ ნაჭყებიას (პირადი №01030030067) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ნუგზარ ნაჭყებიას განემარტოს, რომ: გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ნუგზარ ნაჭყებიას ეცნობოს, რომ 2017 წლის 2 ოქტომბერს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ბექან თოდუასა და ნუგზარ ნაჭყებიას მიმართ.

5. ნუგზარ ნაჭყებიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი:**

**ქეთევან ტაბატაძე**

# ჟურნალისტი მდინარეში ხელს იბანდა და ნიანგმა შეჭამა

**ჟურნალისტი პოლ მაკლინი ნიანგმა მაშინ შეჭამა, როცა ის მდინარეში ხელს იბანდა. შემთხვევა შრი-ლანკაში მოხდა.**

25 წლის ჟურნალისტს ნიანგი ხელებში სწვდა და წყალში ჩაითრია.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ ადგილას მსგავსი რამ ხდება. მით უმეტეს, რომ მითითებულ ადგილას ყოველთვის ბევრი ტურისტი და ადგილობრივი დამსვენებელი დადის. მაშველები ბრიტანელის ცხედარს ამ დრომდე ეძებენ.



**„ნიანგები აქ არასოდეს გვინახავს. ისინი ჩვეულებისამებრ ჯუნგლებში მდებარე წყლებში გვხვდება. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ მოვიდნენ ისინი პლიაჟამდე“** – ამბობს ლაგუნას მფლობელი.

თვითმხილველები ყვებიან, რომ მაკლინი ტუალეტში იყო შესული და უბედური შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა მან მდინარეში ხელების დაბანა გადაწყვიტა.

# ანჯელინა ჯოლი გაეროს გენერალურ მდივანს შეხვდა



**ცნობილი კინოვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი, რომელიც ლტოლვილთა საკითხებში უმაღლესი კომისრის საგანგებო ელჩია, გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტერეშს შეხვდა.** შეხვედრა ორგანიზაციის სათავო ოფისში ნიუ-იორკში შედგა, სადაც ჯოლის ფილმის, „თავდაპირველად მათ მამაჩემი მოკლეს“ პრემიერა შედგა. ფილმის სცენარი 1970-იან წლებში „წითელი კხმერების“ რეჟიმის სისასტიკეს ასახავს, რასაც მილიონზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

# ხმელთაშუა ზღვაში მიგრანტები გადაარჩინეს



ხმელთაშუა ზღვაში მაშველებმა ასობით მიგრანტი გადაარჩინეს. არალეგალმა მიგრანტებმა გეზი ევროპის მიმართულებით ლიბიის სანაპიროდან აიღეს. არასამთავრობო ორგანიზაცია „სოს მედიტერანის“ წარმომადგენლების თქმით, მაშველებმა 102 ადამიანის სიცოცხლე იხსნეს. მათ შორის რამდენიმე ჩვილია.

# „ეგ ბავშვი თუ შენი შვილია, ნორმალური სახელი ვერ დაარქვი?!“



**რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პირველი წაკითხვით მიიღო ახალი კანონი, რომლითაც ახალშობილთათვის „უცნაური“ სახელების მიცემა იკრძალება.**

საქმე ისაა, რომ აქამდე რუსეთში (და არა მარტო იქ, საქართველოშიც უამრავი მსგავსი მაგალითის მოძებნა შეიძლება!) „კვიტანციები“, „ელექტროსტანციები“, „ლუციფერები“, „ლექსუსები“, „პრეზიდენტები“, „ვაგონები“ და ა.შ. მრავლად იყო, თუმცა კი უაზრობის რეკორდი, როგორც ჩანს მაინც „БОЧ РВФ 260 602“ (!!!) უნდა მივიჩნიოთ.

ამასთან, დეპუტატები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ მეორე წაკითხვისთვის კანონპროექტი მნიშვნელოვან შესწორებებს საჭიროებს, რადგან ჩამონათვალში სასვენი ნიშნების, ციფრების, სიმბოლოების, უცენზურო ლექსიკის, წოდებისა და თანამდებობის მიმანიშნებელი და სხვა მსგავს უაზრობათა აკრძალვაც ცალსახად უნდა იყოს მითითებული.

# გაზაფხულის უძილობის კვალდაკვალ



**გაზაფხულის ყველაზე მეტად გავრცელებული სენია უძილობა. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ მარტში დღის ხანგრძლივობა თითქმის ორმაგდება, რაც ბიოლოგიური საათის დროებით აშლას იწვევს.**

ამასთან, მედიკოსები იმასაც აცხადებენ, რომ ძილის გაუარესების მიზეზი შესაძლოა, იყოს ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, ნევროზები და დეპრესიები, ასევე გულისა და გულსისხლძარღვთა პრობლემები.

ყველაზე საგანგაშო სიმპტომი კი ღამე გაღვიძებაა. ძილის შეწყვეტა (და ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში უძილობა) ხშირად სტენოკარდიისა და გულთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის ნიშანია. ჰიპერტონიის დროს დამახასიათებელია „მძიმე თავით“ და კეფის არეში ტკივილით გაღვიძება.

ამიტომაც ექიმები გვირჩევენ, რომ **წყვეტილი ძილი გაზაფხულს „არ გადავაბრალოთ“ და კარდიოლოგს დროულად მივაკითხოთ**.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკის“ ღლევანდელი ნომერი 28-გვერდიანია.

# გონიერთა მოსწრებული სიტყვა

**ერთ დროს ცნობილ პოლონელ მსახიობს ჟოლკოვსკის მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ არც მოშურნენი აკლდნენ.**

ერთხელ წარმოდგენის შემდეგ დარბაზმა განსაკუთრებით მხურვალედ გამოხატა თავისი დამოკიდებულება და მთელი სცენა ყვავილებით აივსო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. და უცებ ვიღაცამ თაიგულივით შეკრული ერთი ბლუჯა თივა ისროლა სცენაზე.

ჟოლკოვსკიმ აიღო ის ერთი ბლუჯა თივა, გულზე მიიკრა, ყურადღება სთხოვა დარბაზს და მიმართა:

– გულითად მადლობას მოგახსენებთ ყველას მხურვალე ტაშისა და ყვავილებისთვის, მაგრამ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი იმ მაყურებელს, ვინც ეს თივის ბლუჯა მესროლა. როგორც ჩანს, ძალიან უყვარს ხელოვნება, რადგან რის შეჭმაც თავად შეეძლო, ჩემთვის გაიმეტა.

* * *

**ერთხელ დილაადრიან, როცა ონორე დე ბალზაკს ჯერ კიდევ ეძინა, თავს ქურდი დაადგა.**

– რა გნებავთ? – უნდოდ შეეკითხა ბალზაკი.

– ანგარიში მოგიტანეთ, ბატონო.

– კარგით, გახსენით აგერ ის ჩემი ბიურო.

გახარებულმა თერძმა, ბოლოს და ბოლოს, ჩემს ფულს მივიღებო, ეგრევე შეასრულა მწერლის მითითება.

– ახლა გამოსწიეთ ზედა უჯრა, – უთხრა ბალზაკმა.

– კი, ბატონო, მაგრამ ცარიელია.

– აბა, ქვედა ნახეთ.

– ესეც ცარიელია!

– მაშ, სულ ბოლო უჯრა გამოსწიეთ.

– არც აქაა არაფერი.

– აბა, ზამბარას დააჭირეთ ხელი, მარცხნივ რომ მოჩანს, მანდ საიდუმლო უჯრაა.

– აჰა, დავაჭირე, მაგრამ აქ ფული კი არა, რაღაც ქაღალდებია, – შეჰყვირა თერძმა.

– ძალიანაც კარგი. ეგ ქაღალდები კი არა, ჩემი მევალეების ანგარიშებია, ისინი შენზე ნაკლები მოუთმენლობით არ ელოდებიან ჩემგან ფულს. კარგს იზამთ,




თუ თქვენს ანგარიშსაც მანდვე დადებთ, რათა თქვენი რიგი სხვა ვინმემ არ დაიჭიროს.

* * *

**ცნობილ ჟურნალისტს ეგონ ერვინ კიშს ჰკითხეს, რა აზრისა ხართ ამა და ამ ცნობილი გაზეთების კომენტატორებზეო.**

კიში ცოტა ხანს ჩაფიქრდა და უპასუხა:

– რა აზრის ვარ, და ორ კატეგორიად გავყოფდი: ერთნი უფრო მეტს წერენ, ვიდრე იციან, დანარჩენთ კი ბევრად მეტი იციან, ვიდრე წერენო.

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.4604; ევრო - 2.9281;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2492;
100 რუბლი - 4.2629; თურქული ლირა - 0.7116;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4480;
1000 სომხური დრამი - 5.1527.

**ამინდი 16 სექტემბრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +15 | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +8, | დღე +33 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +17, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +34 |
| თბილისი: | ღამე +20, | დღე +34 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge